კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

მაგდა კოტრიკაძე

# პოლიტიკური პიარი და ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები (პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი -ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

**თბილისი, 0141, საქართველო**

**2023**

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია**

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

**ოფიციალური რეცენზენტები:**

**გუგული მაღრაძე**

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ალიკა გუჩუა**

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის, 13 ოქტომბერს, 14:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

**მისამართი:** 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი:** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **პეტრე მამრაძე.**

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**საკითხის წინაპირობა:** სადოქტორო ნაშრომში განვიხილეთ პოლიტიკური პიარის გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, პროპაგანდის და "ფეიკ ნიუსის" როლი ყველა დონის პოლიტიკურ პროცესზე და კომუნიკაციების გლობალური საფრთხეები უსაფრთხოების კონტექსტში.

21-ე საუკუნეში პოლიტიკური პიარი განსაკუთრებით აქტუალურია და მეტიც, მძლავრ ასიმეტრიულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, პროცესების სწორად წარმართვისთვის ქვეყანას უნდა ჰქონდეს შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც  გაუძღვება გამოწვევებს, თავიდან აირიდებს არასწორი კომუნიკაციით გამოწვეულ გლობალურ და ადგილობრივ საფრთხეებს.

სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილი ორი ჰიპოთეზა დადასტურდა და ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოში პოლიტიკურ პიარს აქვს ზეგავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე და გააჩნია კონკრეტული სახის ინდიკატორები, ამას გარდა, მაღალტექნოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით დავადასტურეთ მეორე ჰიპოთეზა, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, განსაკუთრებით საარჩევნო პროცესებში, პოლიტიკურ პიარში მეტწილად უნდა გამოვიყენოთ პროპაგანდა, რადგან ის ცდისპირთა მხოლოდ 2%-ზე ახდენს ნეგატიურ გავლენას, ხოლო საჯარო გამომსვლელების მიმართვები აღიზიანებს ცდისპირთა 98%-ს. მნიშვნელოვან მიგნებად მიმაჩნია, კვლევის ფარგლებში გამოვლენილი რამდენიმე ასპექტი: გამოკითხულ ცდისპირთა ხელით შევსებული ანკეტების და თავის ტვინისა და პერიფერიის ოთხი ცვლადის შედარებით დადგენილი შედეგი, რომ საშუალოდ ყველა ცდისპირი 30%-ს იტყუება (17 კითხვიდან საშუალოდ 6 კითხვა ცდება თავის ტვინიდან მოწოდებულ პარამეტრების აღგზნებას და პოზიტიურ ემოციას), აქვე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხელით შევსებული კვლევები შეიძლება არავალიდურად ჩაითვალოს, რადგან საერთაშორისო პარამეტრებით 5-9% ცდომილებაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი მიიჩნევა არავალიდურად, აქ კი მჟღავნდება, რომ საერთაშორისოდ აღიარებული კვლევაც კი, საშუალოდ 30% ტყუილ პასუხს შეიცავს. კვლევის პირველი თავი დაეთმო პოლიტიკური პიარის და

ეროვნული უსაფრთხოების თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლების გაცნობას და იმ ძირითად მიმართულებებს, სადაც ეს ორი სოციალური მეცნიერება ერთმანეთს კვეთს.

მეორე თავში განვიხილეთ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემო და პიარი, როგორც საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ფაქტორი: ახალი გამოწვევები და რისკები. პოლიტიკური პიარი, როგორც საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი, პოლიტიკური პროპაგანდა და მისი გავლენა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების მიღებაზე და ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გამოწვევები ფსიქოლოგიური ომის ფორმატში, ამავე თავში წარმოვადგინეთ ექსპერტების ინტერვიუები და შეფასებები მოცემულ საკითხებზე.

მესამე თავი დაეთმო პოლიტიკური ტექნოლოგიების გავლენის კვლევას ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ვფოკუსირდით „ფეიკ ნიუსსა“ და პროპაგანდის როლზე პოლიტიკურ პროცესებში, მათ გლობალურ საფრთხეებზე და რისკებზე უსაფრთხოების კონტექსტში. სიტუაციური ანალიზის ფარგლებში, რომელიც ქართულ რეალობას ასახავს, განვიხილეთ მანიპულაციების სახეები და მათი კორელაცია ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მაგალითზე. ცალკე ქვეთავი დაეთმო პროპაგანდას, როგორც პოლიტიკური მანიპულაციის და უსაფრთხოების გლობალურ დილემას, მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ჩაღრმავებული ინტერვიუ პიარის და უსაფრთხოების ექსპერტებთან, რომლებიც მრავალი წელი არიან ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში და ხშირ შემთხვევაში თავად ყოფილან მანიპულაციების მსხვერპლნი.

ბოლო ქვეთავი დაეთმო კომუნიკაციის ეროვნული სტრატეგიის საჭიროებას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომუნიკაციების რაიმე სახის დოკუმენტი, სტრატეგიულ დონეზე, რომელიც ნათელს მოჰფენდა ქვეყნის პოლიტიკურ მანიპულაციებთან საბრძოლველ გზას და ერთგვარ - საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ასპარეზზე დაეხმარებოდა მას საფრთხეების სწორად მართვაში, ამ ეტაპზე, ჩვენს ქვეყანას არ აქვს. აქვე, მოვიყვანეთ ექსპერტების

ინტერვიუების ფრაგმენტები, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ არც ერთი მათგანი არ იცნობს კომუნიკაციის დოკუმენტს ეროვნულ დონეზე.

სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში ექვსივე საკვლევ კითხვას გაეცა პასუხი: რა ტიპის გავლენა აქვს პოლიტიკურ პიარს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე საქართველოში? რაში მდგომარეობს პოლიტიკური პიარის არსი, რა კომპონენტებისაგან შედგება იგი და როგორ არის დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოებასთან? რა როლი ენიჭება პოლიტიკურ პიარს ლიდერის პოლიტიკის ფორმირებისას? რამდენად დამაზიანებელია „ფეიკ ნიუსის“ ფაქტორი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე? რა გავლენა აქვს პროპაგანდას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში? აქვს თუ არა საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების სტრატეგია და რა როლი ენიჭება მას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

სადოქტორო ნაშრომში განვიხილეთ თანამედროვე პოლიტიკურ პიარში არსებული გამოწვევები ეროვნული უსაფრთხოების მასშტაბით. 21-ე საუკუნეში არაეთიკური პოლიტიკური პიარი და ფეიკ ნიუსი სერიოზულ საფრთხეებს ქმნიან, ნებისმიერი არჩევნების, გარდამტეხი პროცესების, გამოსვლებისა და მანიფესტაციების დროს.

ამდენად, საინტერესო საკითხია, რა მნიშვნელობის მატარებელია ეს ფენომენი პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე. რა ცვლილებები და კორექცია შემოაქვს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში პიარს, რამდენად მონაწილეობს აზრის ფორმირებასა და რეალური სურათის წარმოჩენაში. სინამდვილის დამახინჯებული ფორმებით გაზიარება და სიცრუის ტირაჟირება არის თუ არა კვეთაში პიარულ სვლებთან? კონკრეტულად, რომელ რგოლებში იყენებს პიარი მანიპულაციებს? არის თუ არა პროცესები შეთანხმებული და მართული? თავად მანიპულატორს რა მოლოდინი აქვს მოცემული ქმედებებიდან? პოლიტიკური პიარი მოქმედებს, როგორც ცალკე სუბიექტი, თუ პოლიტიკისგან განუყოფელი მთლიანობა? ირღვევა თუ არა მისი, როგორც პროცესის ერთ-ერთი ლიდერის საზღვრები, თუ ახერხებს თვითმყოფადად მოქმედებას? ასევე, გამოვიკვლიეთ მედია, როგორც „საფრთხე“ და პოლიტიკური პიარი, როგორც პროცესების გამომწვევი „რბილი ძალა“.

თანამედროვე ეპოქაში ცოდნის მარაგის დაგროვების საჭიროება გაჩნდა და მასთან ერთად, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პოლიტიკის სფეროში გამოწვევების გაანალიზების მოთხოვნილება, რომელსაც შეუძლია ახსნას პოლიტიკური ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა. ამავე დროს, აქტუალურ თემად რჩება არჩევნების გამართვის მეთოდებისა და ხერხების გაცნობა. მნიშვნელოვანია, სათანადო ყურადღება დავუთმოთ, სახელმწიფო სტრუქტურებში საზოგადოებასთან ურთიერთობების საქმიანობას და მასმედიასთან ურთიერთობების თავისებურებებს. საჭიროა განმარტება, თუ როგორ ყალიბდება საზოგადოებრივ პოლიტიკური განვითარების ანალიტიკური შეფასების უნარები, რომლებსაც გამოიმუშავებენ პოლიტიკურ პარტიებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, საზოგადოებასთან ურთიერთობების საქმიანობაში, რაც ასე აუცილებელ გარემოებას შეადგენს საბოლოო წარმატებისთვის. სწორედ ასეთი წარმატების მიღწევის საქმეში მთავარია შემდეგი კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინება:

პოლიტიკური პროცესის დიაგნოსტიკა, მისი პრობლემატური ასპექტების გამოვლენა, გადაწყვეტილების გზების გამონახვა და პრევენცია, არაეთიკური პიარის ინსტრუმენტების აღმოფხვრა, „ფეიკ ნიუსის“, როგორც ფარული საფრთხისა და გამოწვევის დროული იდენტიფიცირება.

**თემის აქტუალობა**

თემა აქტუალურია იმ ულტრათანამედროვე კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ფუნდამენტური კვლევების გრანტის ფარგლებში დაფინანსდა. სამეცნიერო კვლევა განხორციელდა, მაღალტექნოლოგიური ორი აპარატის გამოყენებით. კვლევისთვის შეირჩა ცდისპირთა განსაკუთრებული, ეგრეთწოდებული, „აზრის ლიდერთა“ ასი წარმომადგენელი. პირველად მსოფლიოში, ნეიროფიდბექსა და ბიოფიდბექის აპარატებზე, პოლიტიკური კონტექსტის ვიდეოების ყურების პროცესში, ცდისპირთა თავის ტვინის და პერიფერიის გადაღება განხორციელდა. კვლევა

მიზნად ისახავდა პიარის მანიპულაციებზე დაკვირვებას. სწორედ ამიტომ, ცდისპირები პროცესში პოლიტიკურ გამომსვლელებს და პროპაგანდულ ვიდეო მასალას უყურებდნენ. პოლიტიკური და პიარული მანიპულაციების კვლევა სპეციალური ტენოლოგიების ჩართვის გარეშე შეუძლებლად მივიჩნიე, ვფიქრობ, ჩემ მიერ კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები სასარგებლო იქნება განსაკუთრებით პოლიტიკით და პიარით დაინტერესებული ყველა პირისთვის, ასევე თავად პოლიტიკური აქტორებისთვის, ან მომავალი პოლიტიკოსებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ შედეგებმა უპრეცედენტო ინფორმაცია მოგვცეს, სიცრუის გავლენაზე საარჩევნო კვლევების კონტექსტში, მის მასშტაბებსა და საფრთხეებზე, ასევე პროპაგანდის როლზე ქართველი პოტენციური ამომრჩევლის კონტექსტში. ვფიქრობ, თავად აპარატის გამოყენების აქტუალობაც დადგება ეროვნული უსაფრთხოების სფეროში. საქართველოში უახლოეს მომავალში, იმედი მაქვს, გავლენის კვლევის პროცესებში აქტიურად იქნება გამოყენებული მოცემული აპარატები. ასევე, ნეიროფიდბექი და ბიოფიდბექი შეიძლება ჩაერთოს ჯარის/ მნიშვნელოვანი ქვედანაყოფების, სახელმწიფო მოხელის, პოლიტიკოსების და ლიდერების ფსიქიკური მდგრადობის და სტაბილურობის მისაღწევად. გარდა ამისა, მოცემული ტიპის მაღალტექნოლოგიური კვლევები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მესიჯის, სლოგანის, პოლიტიკური მიმართვის ტექსტის შექმნისა და ფორმირების პროცესშიც. კვლევაში გვაქვს ცამეტი მეცნიერული სიახლე, მათ შორის, ოთხი ახალი ტერმინი: "უსაფრთხოების მარკეტინგი", "ფსიქიკური ეკოლოგიის ეროვნული საფრთხე", "ინფორმაციის პარადოქსული ან/და კონტრასტული ეროვნული საფრთხე" და "მედია უსაფრთხოება ან/და კომუნიკაციის უსაფრთხოება".

პიარ საქმიანობის ფსიქოლოგიური კომპონენტების წარმოჩენა პოლიტიკურ სფეროში პოლიტიკოსის, ან პოლიტიკით დაინტერესებული პირის მოქმედების ოპტიმალური ვარიანტების და მოდელების შეთავაზება კრიზისულ ვითარებაში.

„პოლიტიკური კონსალტინგის" და პოლიტიკური ტექნოლოგიების რაობის განსაზღვრა „საზოგადოებრივი ურთიერთობების" სამეცნიერო დისციპლინასთან მიმართებაში. პოლიტიკური გამომსვლელების სასაუბრო ტექსტები და მათი

გავრცელების და ტირაჟირების ფორმები, რეპუტაციული საფრთხეები. თანამედროვე ეპოქაში, საერთაშორისო პოლიტიკის აქტორების მიერ განხორციელებული ახალი სტრატეგიული მიმართულებები - უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა და მისი განხორციელების მიდგომები უშუალოდ ახდენენ გავლენას კრიზისული სიტუაციების განვითარებაზე გლობალურ გეოპოლიტიკურ სივრცეზე. სწორედ თანამედროვე სახელმწიფოები კრიზისების პრევენციის საწარმოებლად იყენებენ ე.წ „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებს ანუ სხვებზე გავლენას ახორციელებენ ძალდატანების გარეშე, ასევე ეყრდნობიან ისეთ სფეროებს როგორიცაა: საშუამავლო საქმიანობა და პოლიტიკური დიპლომატია. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოები და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები არ წარმოადგენენ სამხედრო ორგანიზაციებს, ფოკუსირებულნი არიან კრიზისების მართვაზე და არა პრაგმატულ, ძალისმიერ თავდაცვაზე, მათი მთავარი მიზანი არა ომების მართვა, არამედ მშვიდობის განმტკიცებაა. რა თქმა უნდა, ცხადია, რომ არსებული გამოწვევების წინააღმდეგ დღევანდელ მსოფლიოში არ არის საკმარისი მხოლოდ დიპლომატიური საქმიანობა.

პოლიტიკური კომუნიკაცია და პოლიტიკური პიარი წარმოადგენენ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ნებისმიერი აქტორის, მთავარ საშუალებას, განახორციელონ საკუთარი ინტერესები. აღნიშნული ფაქტორი დიდ როლს თამაშობს 21-ე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკაში, ქვეყნის შიგნით, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებასა და ისეთი გარემოს შექმნაში, რომელიც საშუალებას აძლევს ქვეყანას სწრაფად და სტაბილურად განავითაროს საკუთარი ეროვნული ინტერესები. ამიტომაც, პოლიტიკური პიარი, მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში, უკვე გადაიქცა სახელმწიფოებისთვის ერთგვარ მომგებიან გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება გამოწვევებთან გამკლავება, მაგალითად, კიბერუსაფრთხოების სივრცესა და სოციალური ქსელებში. ეს მოცემულობა, გავლენას ახდენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე და უდავოდ იკავებს ერთ-ერთ საკვანძო ადგილს რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

იმ დასკვნის გამოტანა, რომ ძალისმიერი მეთოდები არ არის ერთადერთი ფორმა დღევანდელ გლობალურ პოლიტიკაში, ნამდვილად დასტურდება ახალი გეოპოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებსაც ამ ეტაპზე გლობალური, რეგიონული და ეროვნული აქტორები ახორციელებენ - მხედველობაშია ე.წ. „რბილი ძალის“ კონცეფცია, რომელშიც პოლიტიკური კომუნიკაციის მეთოდოლოგიის ადაპტირება ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასთან და მათი ერთგვარი კომპილაცია კარგად წარმოაჩენს, თუ როგორ მიმდინარეობს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი და ხორციელდება ეროვნული ინტერესების რეალიზაცია, მათ შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. მიმდინარე მსოფლიო წესრიგის პირობებში, სახელმწიფოების განვითარება მათ პოტენციალზეა დამოკიდებული, თუ როგორ დააკმაყოფილებს სხვადასხვა საჭიროებებს. უსაფრთხოების გამოწვევები, მოცემული დროის და გარემოებების შესაბამისად, სახელმწიფოებს ისტორიულად ყოველთვის ჰქონდათ და შესაძლოა მომავალშიც ექნებათ. თანამედროვე საუკუნის გამოწვევებთან, რაც ინფორმაციის გლობალური გავრცელების ტენდენციებს ახლავს მსოფლიო პოლიტიკის აქტორი დიდი, თუ მცირე ერები, მხოლოდ ახალი ტექნოლოგიებით შეძლებენ.

სადისერტაციო ნაშრომში დიდი ყურადღება დაეთმო, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომების, განსაკუთრებით კი, მათი ფენომენის შესწავლას ჰიბრიდული ომის ფორმატში. აღნიშნული საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის წარმოჩენილი და ამ მიმართულებით განხორციელებული ნაშრომებით არც თუ ისე განებივრებულია თანამედროვე ქართული სამეცნიერო-აკადემიური საზოგადოება. დღეისათვის, აღნიშნული თემატიკა, როგორც ეროვნული უსაფრთხოების გარემოს ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ფაქტორი, არ წარმოადგენს ინტენსიური ხასიათის კვლევის ობიექტს. პრაქტიკულად, ჩემ მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ერთ-ერთი პირველია, რომელშიც მეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული და გადმოცემული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომების ფენომენი და მათი როლი და ადგილი რეგიონულ დონეებზე მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებში. სწორედ, აღნიშნული ფაქტორები, კიდევ ერთხელ, ხაზს უსვამს მოცემული დისერტაციის ღირებულებას.

პოლიტიკური საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და გეოპოლიტიკური პიარის განვითარება მთავარი ინსტრუმენტია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში. საქართველოს ჩართულობა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში თვალსაჩინოდ გამოხატავს ასეთი ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას. ევროკავშირზე საუბრისას, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის შემაფერხებელი ფაქტორი, როგორიც რუსეთის ფედერაციაა, რომელსაც თავის მხრივ, გააჩნია საკუთარი „საინფორმაციო ბრძოლის სტრატეგია“ და ამ ქვეყნის სამხედრო დოქტრინაში ნათლად არის წარმოჩენილი საინფორმაციო ომის წარმოების მექანიზმები, მათ შორის, რეგიონულ დონეზე და მისი ამგვარი ქმედებები უკვე წარმოადგენენ მთავარ საფრთხეებს და გამოწვევებს საქართველოსთვის. მიმაჩნია, რომ ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სწორედ ეს თანადგომა, ერთ-ერთი შემაკავებელი ბერკეტია საქართველოსთვის რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. ჩემი აზრით, პოლიტიკური პიარის კონტექსტში, ამ ურთიერთობის გაანალიზება, საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს.

**კვლევის მიზნები და ამოცანები**

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, პოლიტიკური პიარის როლი ეროვნული უსაფრთხოების ფარგლებში, საფრთხეების შეფასება, მანიპულაციების გავლენის შესწავლა და გარკვეული რეკომენდაციების მოწოდება ფართო საზოგადოებისათვის. განვიხილეთ შესაძლო სცენარები და მოლოდინები, პოლიტიკური პიარის ხელსაწყოები, მათი გამოყენების ეთიკა და რელევანტურობა. სოციალური ქსელების როლი და მნიშვნელობა დღევანდელი პოლიტიკური პროცესების ასპექტში. მათ შორის, მედიის, როგორც მანიპულაციების გავრცელების იარაღის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე საქართველოში. მცდარი ინფორმაციით მიყენებული დარტყმები და პოლიტიკური პიარი, როგორც „რბილი ძალა“. განვიხილე, პოლიტიკური პიარის მეშვეობით, პოლიტიკური

პროცესების ერთგვარი ფსიქოდიაგნოსტიკა და მანიპულაციების როლი მასობრივი აზრის ფორმირებაში, „ფეიკ ნიუსი“, როგორც „რბილი ძალის“ ერთგვარი ტექნოლოგია, მისი არსი და მნიშვნელობა სახელმწიფოთშორის პოლიტიკურ პროცესებში.

კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, თანამედროვე პოლიტიკური პიარის და ტექნოლოგიების როლის და ადგილის განსაზღვრა ეროვნული უსაფრთხოების პროცესების დაგეგმვაში და შესაბამისად გამოგვეკვეთა რა ადგილს იკავებს პოლიტიკური კომუნიკაცია, როგორც ერთ-ერთი საშუალება პოლიტიკურ სისტემაში. ამასთანავე, რა გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე პოლიტიკური პიარის მოვლენამ. შეიძლება თუ არა მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო ომმა გავლენა იქონიოს საქართველოზე და პოლიტიკური კურსი შემაფერხებელი ასპექტი გახდეს და რა პრევენციული ღონისძიებები უნდა შემუშავდეს საინფორმაციო ომებისგან თავდაცვის მიზნით. განვიხილე, პროპაგანდისა და „ფეიკ ნიუსის“ როლი და გავლენის პარამეტრები პოლიტიკური კამპანიების, მათ შორის, საარჩევნო პროცესების კონტექსტში. სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში, შემუშავდა მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები და რეკომენდაციები.

**კვლევის საგანი და ობიექტი**

კვლევის ობიექტია: პოლიტიკური პიარის გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, მისი შედეგების გამოყენება პრაქტიკულ დონეზე.

კვლევის საგანს კი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევების აღქმა პოლიტიკური პიარის რაკურსით.

**თემის მეცნიერული სიახლე**

კვლევის უნიკალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი განხორციელდა მულტიდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ფორმატში (მაგალითად: უსაფრთხოების, პოლიტიკური, პიარის, მარკეტინგის, სოციალური და კოგნიტიური ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და ა.შ.). ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილდა, თუ როგორ შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური

სისტემა გლობალური კომუნიკაციის ფარგლებში, როგორც სიმეტრიული, ისე ასიმეტრიული საფრთხეების განვითარების ფონზე. პირველად მოხდა ტერმინ „პოლიტიკური კონსალტინგის“, ასევე კიდევ უფრო მოდერნიზებული ვარიანტის - მულტიეროვნული მედია-კორპორაციების, როგორც საინფორმაციო სტრატეგიის შემქმნელი და რეალიზატორი არასახელმწიფოებრივი აქტორის და მისი კლასიფიკატორის (იმიჯოლოგიის, პროპაგანდირება, კომპრომატების დოსიე, აგიტაცია და ა.შ.), განსაზღვრა და შემოტანის მცდელობა პოლიტიკურ ლექსიკონში და ტერმინოლოგიურ სივრცეში, რაც ძალიან აქტუალური თემაა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის პირობებში.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, საინფორმაციო პოლიტიკური სივრცის ფსიქოლოგიური გავლენის შესწავლა და მისი როლის განსაზღვრა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კვლევის დროს დადგინდა, რომ პოლიტიკურ პიარს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ასევე, ნათელი გახდა, რომ პროპაგანდის მიმართ პოტენციური ამომრჩეველი ლოიალურია, ხოლო პოლიტიკოსის გამოსვლების მიმართ ცალსახად ნეგატიური. წარმოვაჩინეთ, იდეალური ლიდერის მოდელი და მისი ნიშანთვისებები. ულტრათანემედროვე კვლევის ფარგლებში, რომელიც ჩატარდა ბიოფიდბექისა და ნეიროფიდბექის აპარატებზე ნათლად გამოჩნდა, რომ ელექტორატი და საერთოდ ადამიანი, მათ შორის ყველაზე კეთილგანწყობილიც კი კვლევის ავტორის, ან ინტერვიუერის მიმართ, პასუხების გაცემისას საშუალოდ 30%- იტყუება, რაც ეჭვქვეშ აყენებს ასეთი ტიპის კვლევების ვალიდურობას. შევისწავლეთ პოლიტიკური პიარისა და უსაფრთხოების საფუძვლები და  მათი ინტერესების გადაკვეთის მომენტები, ასევე მოცემულ პროცესებში არსებული საფრთხეები.

კვლევაში  წარმოდგენილია ცამეტი მეცნიერული სიახლე, მათ შორის ოთხი ახალი ტერმინი: “უსაფრთხოების მარკეტინგი”, “ფსიქიკური ეკოლოგიის ეროვნული საფრთხე”, “ინფორმაციის პარადოქსული ან/და კონტრასტული ეროვნული საფრთხე” და “მედია უსაფრთხოება ან/და კომუნიკაციის უსაფრთხოება”. ვფიქრობ, რომ ახალი ტერმინების დამკვიდრება კვლევას სძენს მეტ აქტუალობას.

ვეცადეთ შეგვესწავლა ტყუილი „ფეიკ ნიუსის“ კონტექსტში და ის თუ, როგორ უნდა მოხდეს ეროვნული უსაფრთხოების დონეზე, ტყუილი ინფორმაციის განეიტრალებაზე პროფილაქტიკური სტრატეგიის შემუშავება, რაც უდავოდ შესაძლებელს გახდის პიარის შესაძლებლობების გაფართოებას. მკვეთრად გამოიკვეთა რომ მნიშვნელოვანია, პოლიტიკურ მანიპულაციებზე წინმსწრები სამუშაოების ჩატარება, რადგან დაგვიანებული რეაქციები ვნებს პროცესს და წამგებიან პოზიციაში ამყოფებს სახელმწიფოს და სუბიექტს. მით უფრო, რომ პრობლემათა დიდი ნაწილი უკვე რეაქტიულ ფაზაში გვაქვს.

გამოიკვეთა, რომ პოლიტიკურ პიარს გააჩნია კონკრეტული სახის ინდიკატორები, როგორიცაა პროპაგანდა და „ფეიკ ნიუსი“, მათი ურთიერთკორელაცია და სისტემატიზებული სახე ვნებს პოლიტიკურ პროცესებს, ქმნის დიდ საფრთხეს, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე გარეთ. გამოსავალი კი არის, იმაში რომ მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე იყოს პროცესი და თავად არ იყენებდეს სახელმწიფო უწყება პიარის არაეთიკურ ინსტრუმენტებს ინფორმაციის გადასაფარად, არამედ იყოს ღია და ინდივიდის დონეზე ხდებოდეს საპასუხო რეაქციები არასუბორდინაციულად, რადგან ამ პროცესში დაკარგული დრო საპასუხო რეაქციას მეტწილად აგვიანებს და აფერხებს სრულ პროცესს, ქმნის ეროვნულ რისკებს. მაგრამ ცხადია ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ არსებობდეს მდგრადი „მესიჯბოქსი“, რომლის მოდიფიკაციას სხვადასხვა დონის საჯარო გამომსვლელი თავად აყალიბებს.

გამოიკვეთა „ფეიკ ნიუსის“ არსი, მისი კლასიფიკაცია და მიმართება ეროვნულ უსაფრთხოებასთან. აღინიშნა, რომ „ფეიკ ნიუსს“ აქვს სხვადასხვა სახე და კლასიფიკატორები, რომლებიც მეტწილად მიემართება პოლიტიკურ პროცესებს და მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა აქვს მათზე. ცრუ ინფორმაციას, შეუძლია დააზიანოს ლიდერის, ასევე ქვეყნის რეპუტაცია და გამოიწვიოს ეროვნულ დონეზე აზრის ფიქსაცია.

გამოიკვეთა, რომ ჩვენს ქვეყანას ამ ეტაპზე არ გააჩნია საინფორმაციო - ფსიქოლოგიური კომუნიკაციის სტრატეგია ტაქტიკურ დონეზე და ასევე ვიმსჯელეთ მისი არსებობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

ულტრათანამედროვე კვლევა, ერთდროულად ორ აპარატზე ჩატარდა, ნეიროფიდბექსა და ბიოფიდბექზე, რომლის ფარგლებშიც მიღებული შედეგები გავლენას მოახდენს წინასაარჩევნოდ ზოგადად კვლევით ინდუსტრიაზე, წვლილს შეიტანს ფეიქ ნიუსების განეიტრალებაში და ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ფიგურებს დახვეწილად წარმოაჩინონ თავი საარჩევნო პლატფორმაზე.

**საკვლევი კითხვა/კითხვები**

1. რა ტიპის გავლენა აქვს პოლიტიკურ პიარს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე საქართველოში?
2. რაში მდგომარეობს პოლიტიკური პრ-ის არსი, რა კომპონენტებისაგან შედგება იგი და როგორ არის დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოებასთან?
3. რა როლი ენიჭება პოლიტიკურ პიარს ლიდერის პოლიტიკის ფორმირებისას?
4. რამდენად დამაზიანებელია ფეიკ ნიუსის ფაქტორი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე?
5. რა გავლენა აქვს პროპაგანდას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
6. აქვს თუ არა საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების სტრატეგია და

   რა როლი ენიჭება მას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

**ჰიპოთეზა**

(H1): საქართველოში პოლიტიკურ პიარს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე და გააჩნია კონკრეტული სახის ინდიკატორები: ყალბი ინფორმაცია და პროპაგანდა.

(H2): პროპაგანდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საარჩევნო პროცესების სამართავად და დადებითი გავლენა აქვს ამომრჩევლის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე.

**კვლევის თეორიული ბაზა**

კვლევის დამუშავების დროს გამოვიყენე უსაფრთხოების, პოლიტიკის, პიარის, მარკეტინგის, ფსიქოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები. დასამუშავებელი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, სავარაუდოდ გასათვალისწინებელია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლების ის სამეცნიერო პარადიგმები, რომლებიც ეხმიანებიან თემის ფარგლებში საკვლევ ობიექტებს. მოკლედ წარმოგიდგენთ, თეორიებს, რომლებსაც სადოქტორო ნაშრომის კვლევის დროს დავეყრდენი და გამოვიყენე საკვლევი მიზნის მისაღწევად. განვიხილე **„სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია“,** რომლის ფარგლებშიც, საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობაზეა მსჯელობა. კონსტრუქტივისტების აზრით, მატერიალური პრინციპები სოციალურიცაა და არა პირიქით. ამიტომაც, სოციალიზაციის ფაქტორი მნიშვნელოვანი გარემოებაა სოციალურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის დასამყარებლად და განსავითარებლად. პოლიტიკური პიარი, თავის მხრივ, წარმოადგენს გამართული კომუნიკაციის მთავარ საყრდენს, ვინაიდან კომუნიკაციის გამართულ მუშაობას ხელს უწყობს ველი, რომელშიც ჩნდება ესა თუ ის კავშირი და ერთობა. გამოვიყენე **„თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია** (Cooperative Security)**:** რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყნებს შორის კავშირების მტკიცე განმაპირობებელ ფაქტორად საერთო საფრთხის აღქმა უნდა ჩაითვალოს. საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობით კავშირში შესაძლებელია გაერთიანდნენ ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებსაც განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპები გააჩნიათ. კავშირების გაძლიერება ხელს უწყობს კომუნიკაციის ფართო მასებზე გავრცელებას და ინფორმაციის ტემპის, ტემპერატურის და გამავლობის ფაქტორს. **„უსაფრთხოებიზაციის თეორია“:** (Securitization theory). თეორიის ფარგლებში, გამოკვეთილია ნეორეალისტური

ხედვა პოსტ-ინდუსტრიულ ეპოქაში საფრთხეების იდენტიფიკაციის მნიშვნელობის შესახებ. საფრთხეების დროული დანახვა და პროცესებისადმი მზაობა ეროვნულ უსაფრთხოებაში უდავოდ დაცვითი მექანიზმია, ხოლო პიარი მთელ ამ პროცესში დამკვირვებელი, ზედამხედველი და კონცენტრაციების განმსაზღვრელია. იმ ეპოქაში, როდესაც ინფორმაცია იგებს და აგებს ომს, როდესაც სამყარო მოწყვლადია მცდარი ინფორმაციის გავლენებისგან, ეს თეორია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოცემულ კვლევაში. **ცნობილია, რომ ჯოზეფ ნაის "რბილი ძალის" თეორია**: წარმოადგენს ნეოლიბერალური საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიულ ნარატივს. ნაშრომში „ამერიკული ძალის შეცვლის ბუნება", მეცნიერმა იგი შემდეგი განმარტებით განსაზღვრა: „რბილი ძალა" არის უნარი მიაღწიოს იმას, რაც სასურველია მოკავშირეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობით და არა იძულებით ან გადასახადებით". ტერმინი „რბილი ძალა" ფართო მეცნიერულ გამოყენებაში დანერგა ამერიკელმა მეცნიერმა ჯ. ნაიმ 90-იანი წლების დასაწყისში ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, როდესაც საბჭოთა იდეოლოგიამ დაკარგა მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა. სინამდვილეში, ძალა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში ტრადიციულად, ძალზე აბსტრაქტული და რთული იყო ცვლადის გასაზომად, ჯ. ნაიმ განსაზღვრა, როგორც „რაღაცის გაკეთების და სხვების კონტროლის უნარი, ან იძულება სხვების მიმართ, მათ გააკეთონ ისეთი რამ, რასაც იძულებით არ გააკეთებდნენ". „რბილი ძალის" კონცეფციის თეორიული განვითარების გაანალიზებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ „რბილი ძალა" არის მასობრივი გავლენის იარაღი, რომელიც არ ჩამორჩება თანამედროვე სამხედრო საშუალებებს. მისი ეფექტი იმდენად შთამბეჭდავია, რომ თუ „ხისტ ძალას" შეუძლია ობიექტის განადგურება, მაშინ „რბილი ძალა" აიძულებს მას ნებაყოფლობით წავიდეს საგნის მხარეს, ამ უკანასკნელის ღირებულებებისა და რწმენის გაზიარებით. ისევე, როგორც ნებისმიერი იარაღი, რბილი ძალის გამოყენება გულისხმობს პასუხისმგებლობას და მისი გამოყენების ცნობიერ მიდგომას. მიზანი არ უნდა ამართლებდეს საშუალებებს. თემის ფარგლებში პიარის მანიპულაციის ინსტრუმენტებს

განვიხილავ, როგორც „რბილ ძალას“ და ამ ასპარეზზე მანიპულაციების უაღრესად დიდ როლს ვუსვამ ხაზს. უნდა გამოვყო, ასევე **პოლიტიკური რეალიზმის თეორია**, რომელიც კვლევის პროცესში გამოვიყენე, ის ემყარება თეზისს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა ექვემდებარება ობიექტური კანონების მოქმედებას, რომლებიც დაფუძნებულია ადამიანის ბუნებაში. შესაბამისად, სახელმწიფოების ქცევის რაციონალურად ახსნა, გაანგარიშება და პროგნოზირება შესაძლებელია. პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ძირითადი ელემენტებია „ეროვნული ინტერესების“ და „სახელმწიფოს ძალაუფლების“ კატეგორიები. აქვე იკვეთება, თუ როგორ განსაზღვრავს პოლიტიკური რეალიზმი ეროვნული უსაფრთხოებას რაობას და მის მიმართებას ქვეყნის პოლიტიკური გადაწყვეტილების ფორმულირების კონტექსტში. სწორედ პოლიტიკური რეალიზმის ფარგლებში წარმოიშვა „ეროვნული უსაფრთხოების თეორია“, რომელიც ფუნდამენტური მეცნიერების ინტერდისციპლინარული მიმართულებაა, რომელიც სწავლობს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვის მდგრადობას სხვადასხვა საფრთხისგან. ეროვნული უსაფრთხოების თეორიის ძირითადი ამოცანებია: უსაფრთხოების საკითხებზე მეცნიერული ცოდნის მიმოხილვა, მათი კლასიფიკაცია, იდეოლოგიური საფუძვლის, განვითარების დონის თავისებურებების დადგენა, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების ზოგადი თეორიის აუცილებლობისა და შესაძლებლობის დასაბუთება და მისი გადაჭრის ამოცანები. კვლევა ერთდროულად ორ ფუნდამენტურ მეცნიერებას პოლიტიკურ მეცნიერებებს და საზოგადოებასთან ურთიერთობას (პიარს) მოიცავს, ამასთან, მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ბუნებრივია, რომ ეს ნარატივი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია თემის კვლევის პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანიპულაციების ფსიქოლოგიური ზეგავლენა უმთავრესია, თუ როგორ იღებს ადამიანი გადაწყვეტილებას საარჩევნო პროცესში, რა უბიძგებს მას მოქმედებისკენ, ან რა მომენტში იცვლის აზრს. ამ კონტურების გამოსაკვეთად გამოვიყენე მთელი რიგი ფსიქოლოგიური თეორიები: **განწყობის თეორია“** - დ. უზნაძე - ქცევის მიზანშეწონილობის საკითხის შესასწავლად დიმიტრი უზნაძემ დაასკვნა, რომ ადამიანის ქცევა ფსიქიკით იმართება და მიზანშეწონილად

მიმდინარეობს, ანუ ცოცხალი არსება გარემოში თავისი "მიზნების" შესაბამისი აქტივობის განხორციელებას ახერხებს. მას მიაჩნდა, რომ უნდა არსებობდეს ფსიქიკური მექანიზმი, რომელიც ამ პროცესს უზრუნველყოფს. მეცნიერმა ხანგრძლივი ძიების შემდეგ ჯერ თეორიულად დაადასტურა, ხოლო შემდეგ ემპირიულად, მიაგნო მექანიზმს და მას განწყობა უწოდა. ნებისმიერ ქცევას, დიმიტრი უზნაძის მიხედვით, წინ უსწრებს განწყობის აღმოცენება. ქცევას წინ უსწრებს მოთხოვნილება, ადეკვატური განწყობა. საჭიროა, არსებობდეს მოთხოვნილება და სიტუაცია, რომელიც მოიცავს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფაქტორებს. განწყობა არის ფსიქოფიზიკური მზაობის მდგომარეობა. განწყობის არსებობის გარეშე ადამიანი ვერაფერს გააკეთებდა, ყველა ფსიქიკურ პროცესს, ყველა ჩვენს ქცევას განწყობა ამოძრავებს და აძლევს მიმართულებას. განწყობა არაცნობიერია. იგი შედგება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებისაგან. სუბიექტურ ფაქტორს განეკუთვნება მოთხოვნილება; ობიექტურ ფაქტორს კი სიტუაცია. განწყობის თეორიის მიხედვით, თუ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს, ან საზოგადოებას შეუქმნი რაიმე მოთხოვნილებას და ჩააყენებ ისეთ სიტუაციაში, რომ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდება – განწყობაც აღმოცენდება. სწორედ იმიტომ რომ ნებისმიერი არჩევნები განწყობების და შეთავაზებების თანხვედრაა, ჩემთვის საინტერესო გახდა პოლიტიკური კვლევის საგნად მექცია განწყობა, როგორც ფუნდამენტი საარჩევნო პროცესებში, განწყობა მანიპულაციის პროცესებში და განწყობა ტყუილი ინფორმაციის მოსმენა-დანახვის პროცესში. ასევე ყურადღება გამახვილდა, **სოციალური დასწავლის შესახებ თეორიაზე** - რადგან სოციალური დასწავლის თეორია, რომელიც ალბერტ ბანდურას ეკუთვნის იმ იდეაზეა დაფუძნებული, რომ ადამიანები  სხვებთან ინტერაქციით სოციალურ კონტექსტში სწავლობენ. ისინი აკვირდებიან სხვა ადამიანებს და იწყებენ მსგავსად მოქცევას. მეცნიერის აზრით, ადამიანებს არ მართავს არც შინაგანი და არც გარეგანი ძალები, მისი ქცევა დამოკიდებულია სამ კომპონენტზე: ყურადღება, მეხსიერება და მოტივაცია. სწორედ ამიტომ, მას ხშირად ბიჰევიორიზმისა და კოგნიტიური ფსიქოლოგიის თეორიების დამაკავშირებელსაც უწოდებენ.

დღეისათვის მოცემულ თეორიას სოციალურ-კოგნიტიურ თეორიას უწოდებენ. სოციალური დასწავლის თეორია  საკვლევი თემის ასპექტში საინტერესოა, როგორც ინფორმაციის გავლენების და მანიპულაციებზე მასების რეაგირების საკითხი. გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება და მასში ტყუილ-მართლის დადგენა უფრო და უფრო რთული ხდება, მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ, თუ როგორ ხდება მოცემული ინფორმაციის მიღება და მასზე რეაგირება, ქმნის თუ არა ერთგვარი დასწავლა მასობრივ წინააღმდეგობას და საერთო ჯამში ეროვნულ რისკებს, როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე უფრო ფართო მასშტაბებზე. რადგან ალბერტ ბანდურა ამბობს, რომ სწავლა შეიძლება განხორციელდეს ქცევაში ცვლილების გარეშე, ყოველთვის არ საჭიროებს განმტკიცებას და დასწავლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი არის ქცევაში მუდმივი ცვლილება. ნაშრომში აქცენტი გაკეთდა, **კოგნიტიური დისონანსის თეორიაზე,** რომელიც - ფსიქოლოგმა ლეონ ფესტინგერმა შექმნა კოგნიტიური დისონანსის თეორია 1957 წელს. მეცნიერის შეხედულებით, კოგნიტიური დისონანსი ხდება მაშინ, როდესაც ადამიანების აზრები და გრძნობები არ შეესაბამება მათივე ქცევას, რაც იწვევს არასასიამოვნო და არაკეთილსინდისიერ შეგრძნებას. კოგნიტიური დისონანსის დროს ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება შეამცირონ დისკომფორტის შეგრძნებები - ზოგჯერ მათთვის გასაკვირი ან მოულოდნელი გზითაც. ლეონ ფესტინგერი ვარაუდობს, რომ დისონანსის შემცირება ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილებაა. ზოგჯერ, როდესაც ადამიანებს სთხოვენ გარკვეული გზით იმოქმედონ, მათ შეიძლება შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება მოცემულ ქცევასთან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოქმედებები ჩვენი რწმენებისგან გამომდინარეობს. ლეონ ფესტინგერი და კარლ სმიტი ამტკიცებენ, რომ ეს ქცევა სხვაგვარად შეიძლება იყოს წარმოდგენილი: ჩვენმა ქმედებებმა შეიძლება გავლენა იქონიონ იმაზე, რისიც ჩვენ გვჯერა. თუ ჩვენ განვახორციელებთ მოქმედებას ჩვენი გააზრებული რწმენების წინააღმდეგ, მაგალითად ჩვენდაუნებურად ჩავერთვებით კამპანიაში, რომლის მიმართაც არ გვაქვს დიდი ინტერესი, პატივისცემა და აღიარება, დროთა განმავლობაში შეიძლება გაგვიჩნდეს მოთხოვნილება

მოგვწონდეს ესე თუ ის ჯგუფი, ვაღიაროთ ლიდერი და ა.შ რადგან ნებისმიერი ქცევა ბიჰევიორიზმს მიაჩნია დასწავლის საგნად, საინტერესო გახდა **ბიჰევიორისტული თეორიის გამოყენება** - თეორიის ავტორი ჯონ უოტსონია, რომელიც აკვირდებოდა და სწავლობდა ადამიანის ქცევას და მასზე სტიმულის რეაქციას. მისთვის ქცევა სტიმულზე რეაგირებაა და მეტი არაფერი, რასაც გადმოსცემდა (S R) ცნობილი სქემით. ავტორი ორ მიმართულებას გამოყოფს ადამიანის თანდაყოლილ ანუ რესპოდენტულ  და ოპერანტულ რეაქციას (დასწავლილი, განმტკიცებული). საინტერესოა რა ტიპის სტიმულზე აქვს რეაქცია პოლიტიკური არჩევნების დროს ამომრჩეველს, ან რა შემთხვევაში ცვლის გადაწყვეტილებას.

კვლევის დროს საინტერესო გახდა, გუსტავ ლი ბონის „მასების ფსიქოლოგიის“ თეორია, რადგან აღნიშნული თეორია, განსაზღვრავს თუ რა ფაქტორები მოქმედებენ მასებზე და როგორ ხორციელდება მათი მართვა, ან მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნული თეორია ერის მენტალობის აღწერას ეძღვნება, ისევე როგორც ბრბოს მენტალობის შესწავლას. საერთო თვისებები, რომლებიც მემკვიდრეობით არის განპირობებული ერთი და იმავე ერის ინდივიდებში, ამ ერის მენტალობის შემადგენელია. მაშინ, როდესაც ასეთ ინდივიდთა გარკვეული რაოდენობა მოქმედ ბრბოს ქმნიან, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ინდივიდთა ასეთი დაახლოების შედეგს ახალი ფსიქოლოგიური თვისებები წარმოადგენს, რომლებიც არა მხოლოდ უპირისპირდებიან ერის ხასიათს, არამედ ხშირად მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან კიდეც. ორგანიზებული ბრბო ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ერების ცხოვრებაში, მაგრამ არასოდეს ჰქონია მას ისეთი მნიშვნელობა, როგორიც დღეს. აღნიშნული თეორია გამოვიყენე პოლიტიკური პროპაგანდის ფენომენის გამოსავლენად და კიდევ უფრო გასამყარებლად, რომელიც უშუალოდ მოქმედებს ეროვნული უსაფრთხოების პროცესებზე და დადგინდა ასევე საველე ექსპერიმენტის მეშვეობით მისი გარდაუვალი საჭიროება.

სადისერტაციო კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები ფართო და ტევადია. ამიტომაც, მოხდა თითოეული ამ მიმართულებების კონცეფციების მიმოხილვა და გაანალიზება, კვლევის ჰიპოთეზის გამყარება, საჰიპოთეზო კითხვებზე შესაბამისი

არგუმენტირებული პასუხების გაცემა. სხვა რაკურსით განვიხილეთ ორი განსხვავებული საერთაშორისო ურთიერთობების თეორია - ბარი ბუზანის „სეკურიტიზაციის თეორია/კოპენჰაგენის სკოლა“, რომელიც უშუალოდ განიხილავს, თუ რამდენად ფართოა საფრთხეების იდენტიფიკაციის ფაქტორი, უსაფრთხოების სექტორის ფორმატში, სადაც ორი მათგანი წარმოადგენს ეკონომეტრიულ მიმართულებას - ეკონომიკური უსაფრთხოება და საზოგადოებრივი უსაფრთხოება, რომელთაც შეუძლიათ სრულად შეცვალონ სამყაროს გეოეკონომიკური ლანდშაფტი. მეორე საინტერესო თეორიული მიდგომაა - რიჩარდ კოენის „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ კონცეფცია, სადაც აღწერილია საერთაშორისო უსაფრთხოების ჩამოყალიბების რეალური განვითარების სცენარი და გათვლილია, რომ ამ სცენარის მიხედვით გლობალური უსაფრთხოების პირობებს დაიცავენ და განსაზღვრავენ სახელმწიფოებრივ აქტორებთან ერთად სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები, სახელმწიფოებრივი კორპორაციები და ასევე არასახელმწიფოებრივი აქტორებიც.

**კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია**

თემის კვლევის პროცესში გამოვიყენე შემდეგი მეთოდები. მათ შორის: ინტერვიუ სფეროს ექსპერტებთან, რათა სხვადასხვა შეხედულებას გავცნობოდი, გამოცდილი და კომპეტენტური ხედვები მომესმინა, საერთო წარმოდგენა შემექმნა, იმისათვის რომ მოვლენათა უფრო ფართო სურათი დამენახა. გამოვკითხე სხვადასხვა დროის მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდნენ, პარლამენტარები და ფსიქოლოგები, პიარ სპეციალისტები, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უწყებებიდან. გავერკვიე, თუ რა წინააღმდეგობებს ხვდებოდნენ სამუშაო პროცესებში, ასევე, გავიგე მცდარი ინფორმაციის მართვის მათი სტრატეგიები და ბერკეტები, ტაქტიკა და ხედვა. ინტერვიუ ჩამოვართვი სახალხო დამცველს და ცესკოს ყოფილ თავმჯდომარეს, რადგან საარჩევნო პროცესის ორივე მხარე დამენახა, შემსრულებელი და მეორე მხრივ ერთგვარი ზედამხედველი. პოლიტიკურ მანიპულაციებში ჩართული ფსიქოლოგები, რომლებსაც უშუალო შეხება ჰქონდათ პოლიტიკური კანდიდატების მომზადების პროცესში, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური კამპანიების დაგეგმარების პროცესებში, კიბერ

უსაფრთხოების სფეროს წამყვან სპეციალისტს გავესაუბრე, რომელიც შეეხო კიბერ გამოწვევებს და საარჩევნო სქემაში მანიპულაციების როლზე გაამახვილა ყურადღება. ინტერვიუებით შევეცადე გამემიჯნა პოლიტიკური პიარი არაეთიკური პიარისგან და გარე მეთვალყურის პოზიციიდან დამენახა მათი გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

ასევე, გამოვიყენე სიტუაციური ანალიზი, რათა ქართული პოლიტიკური პროცესების რეალობა პოლიტიკურ მანიპულაციებთან კვეთაში უფრო ნათლად აღმეწერა. წარმოვადგინე, სიტუაციური ანალიზის ორი აქტუალური შემთხვევა: „კოვიდ პანდემია“ და „ლუგარის ლაბორატორია“, ცოცხალი მაგალითებით აღვწერე, რა პროცესი გაიარა ამ წლების განმავლობაში საქართველომ და როგორ გაუმკლავდა მანიპულაციების შემოტევებს.

ასევე, შევასრულე ულტრათანამედროვე, მაღალტექნოლოგიური კვლევა ნეიროფიდბექისა და ბიოფიდბექის აპარატებზე, რადგან მიმაჩნია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ისეთი მძლავრი პრობლემის მიმართ, როგორიც სხვადასხვა ტიპის მანიპულაციების გამოყენებაა და ის საფრთხეები,რომელიც თან ახლავს ამგვარ ქცევას, მეტად ეფექტურია. ასევე, მიმაჩნია, რომ მაღალტექნოლოგიური აპარატურული კვლევები გააუმჯობესებს პოლიტიკური პროცესების იმპლემენტაციას და ასევე მინდა ჩემი დამოკიდებულება გაგიზიაროთ კვლევის დასასრულს - მანიპულაციების კვლევა შეუძლებელია მხოლოდ დაკვირვებით, ან გამოკითხვით.

ბუნებრივია, რომ ისეთი სენსიტიური საკითხის კვლევას, როგორიც მანიპულაციებია, მხოლოდ სტანდარტული კვლევის მეთოდებით გამკლავება გამიჭირდებოდა, საკმაო დრო დავუთმე იმაზე ფიქრს და მოძიებას, თუ როგორ გამომევლინა ტყუილი ინფორმაციის ერთგვარი დეტექტორი და მიმეგნო ზუსტად იმ საშუალებაზე, რაც დამეხმარებოდა ამ რთული მიზნის განხორციელებაში. სწორედ, ნეიროფიდბექისა და ბიოფიდბექის მეშვეობით შევძელი ის მოსაზრებები გამემყარებინა რაც თემაზე მუშაობისას მქონდა განსაზღვრული და ჰიპოთეზას წარმოადგენდა. კვლევის ინოვაციური მეთოდი თავის მხრივ შეავსო და კონტურები გამოკვეთა ინტერვიუებმა, რომელშიც გავლენიანი მეცნიერები მონაწილეობდნენ,

მათი გამოცდილება და ხედვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან უშუალოდ არიან პოლიტიკური მოვლენების მონაწილენი, მანიპულაციების დამკვირვებლები, თუ მსხვერპლნი. ექსპერტებმა, თემა გაამდიდრეს რეკომენდაციებით და ხედვით, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მწვავე პროცესების მართვა, ასევე გაამახვილეს ყურადღება პიარის მანიპულაციებზე და გაამყარეს ჩემი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით რომ ამ ეტაპზე, ქვეყანაში არ არსებობს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი ეროვნულ დონეზე, რომელიც მეტად დამხმარე იქნებოდა ქვეყნის უსაფრთხო კომუნიკაციისათვის, ასიმეტრიული, სიმეტრიული, თუ ფსიქოლოგიური საფრთხეებისგან დასაცავად. ბოლოს, კი უნდა აღინიშნოს სიტუაციური ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს, კონკრეტულ სიტუაციებზე დაკვირვებით ქართული რეალობის ასახვას, ტყუილი ინფორმაციის მართვის არსებულ ბერკეტებს და საჭიროებებს.

**სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა**

**გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია „21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია:** მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“ , თბილისი, 2017 წელი. ავტორები წიგნში განხილავენ უსაფრთხოების პრობლემებს გეოპოლიტიკური ანალიზის დონეზე. ნაშრომში მოყვანილია ის ძირითადი სექტორები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის უსაფრთხოებაზე, ნაშრომში დეტალურად არის განხილული: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და საინფორმაციო უსაფრთხოება. ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პოსტ–ბიპოლარული ეპოქის შემდეგ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკას და საერთაშორისო უსაფრთხოებას. მაგალითის სახით ასახელებენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გეოპოლიტიკურ აქტორებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ „ცივი ომის“ პირობებში, ასევე ყურადღებას ამახვილებენ დროთა განმავლობაში მათ გარდასახვაზე, როგორც „თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ – თეორიიდან პრაქტიკამდე; მოცემული ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის,

საინფორმაციო უსაფრთხოების კვლევის ასპექტში და განსაკუთრებით კი ფართო მასებზე გავლენების კონტექსტში, ინფორმაციის გლობალური საფრთხის ახალ გამოწვევაზე დაკვირვება და მსჯელობა მოცემული ლიტერატურის დახმარებით, ვფიქრობ, იქნება მეტად ხელშემწყობი და დამხმარე.

**ალექსანდრე რონდელი - „საერთაშორისო ურთიერთობები“.** თბილისი, 2006 - მოცემულ ნაშრომში ალექსანდრე რონდელი, მიჯნავს ერთგვარად სინონიმებად მიღებულ ტერმინებს და აყალიბებს  საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის დეფინიციას. ავტორის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობები ისტორიისა და სამართლის წიაღიდან გამოვიდა და მას ბიძგი მისცა პირველმა მსოფლიო ომმა, მათ შორის უმნიშვნელოვანეს განმაპირობებლად მიიჩნევა ერთა ლიგის ჩამოყალიბება. ავტორი ნაშრომში გამოყოფს და განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობებს როგორც სისტემას. ჩვენთვის მოცემული ნაშრომი საინტერესოა დიპლომატიური გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში, თუ როგორ ხედავს ავტორი ინფორმაციის მართვის საფრთხეებს და გამტარობას საერთაშორისო სივრცეში.

**პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები** - ავტორები ჯანეტ ბუტოფლ ჯონსონი, ჰ.ტ რეინოლდსი  და დეისონ დ. მაიკოფი. წიგნი მნიშვნელოვანია მეთოდების დეტალური აღწერისთვის, რათა დამედგინა, კონკრეტულად რა მეთოდოლოგიით და მეთოდებით მეხელმძღვანელა კვლევის პროცესში.

**„პოლიტიკა“ ენდრიუ ჰეივუდი** - გამოვიყენე პოლიტიკური ისტორიის შესწავლისთვის, თუ როგორ იბადებოდა სამყაროში პოლიტიკა, მისი თეორიები, რა წინააღმდეგობებს და ბარიერებს ლახავდა განვითარების პროცესში, როგორ იქმნებოდნენ და ყალიბდებოდნენ პირველი ლიდერები, რა გამოწვევების წინაშე იდგნენ ისინი. ძველი და თანამედროვე პოლიტიკური მიმართულებები და მათი აქტორები, მათი ქცევის პრინციპები და ეთიკური ნორმები დანახული პოლიტიკის თვალით და არა პიარის ან მარკეტინგის. თემისთვის მეტად მნიშვნელოვანია ვისწავლოთ და დავაკვირდეთ ლიდერის როლს მანიპულაციების მართვის პროცესში, მის გავლენას საზოგადოების აზრსა და ცნობიერებაზე, ასევე საარჩევნო პროცესის მართვის წესებს და პრევენციულ ღონისძიებებს.

**რამაზ საყვარელიძის „ჰიპნოზი“** - წიგნი გვიყვება ჰიპნოზის მთელ ისტორიას დასაბამიდან დღემდე. დეტალურად აღწერს მის მნიშვნელობას და ადამიანის გამწყობებს ჰიპნოზთან მიმართებით. თუ როგორ ვლინდება ეს მდგომარეობა რა მომენტებში და რამდენად ზემოქმედებს ადამიანზე. ბევრი გვსმენია მარკეტინგული მასალების გავლენაზე ადამიანთან მიმართებაში, ასევე ხმის ჰიპნოზსა და გავლენაზე, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ის ნიუანსები თუ როგორ ახორციელებს ჰიპნოტიზიორი ამ ქმედებას და რა საფრთხეები შეიძლება გამოიკვეთოს არასწორი ჰიპნოზირების პროცესში. ავტორი საჯარო გამომსვლელის და ლიდერის თვისებებზეც აკეთებს აქცენტს, მის წიგნში სრული თავი ეთმობა დილერის თვისებებს, გავლენებს და ხელსაწყოებს, რომლის მეშვეობითაც მან უნდა მოიპოვოს აღიარება. ასევე, დილერის ტექსტის ფორმირებას და სხვადასხვა ასპექტებს, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებულ მესიჯს, იმიჯსა და სრულ პორტრეტს.

**დიმიტრი უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“-** წიგნი მიმოიხილავს მთელ ფსიქოლოგიას, დაწყებული ტერმინებიდან დასრულებული, მეთოდებით და მიმართულებებით.ფსიქიკურ პროცესებს, განწყობას, ემოციას და ქცევის ფსიქოლოგიას, აღქმის, აზროვნების, ყურადღების და წარმოსახვის ასპექტებს. მნიშვნელოვანია წიგნი პიარის მანიპულაციების დასადგენად და მათი საფრთხეების წარმოსაჩენად. ზოგადად ანალიზისთვის ნებისმიერი კვლევის პროცესში.

**“ფსიქოლოგიის ისტორია” ავტორი ირაკლი იმედაძე**- წიგნში მიმოხილულია ყველა ფსიქოლოგი რომელმაც ფსიქოლოგიაში დიდი კვალი დატოვა, რომელმაც შექმნა ეპოქები და მიმდინარეობები. სწორედ ამ წიგნის მეშვეობით შევძელი გამომეკვეთა ფსიქოლოგიის მიმართულებით ჩემთვის საჭირო თეორიები და მემსჯელა ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში.

**„სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“** ავტორი რუსუდან ციცქიშვილი - მოცემული წიგნიდან გამოვიყენე ტერმინთა და თეორიების ზუსტი ანალიზი, ფსიქოლოგიის სოციალური ასპექტები და მიდგომები. გზა რომელიც ფსიქოლოგიამ გაიარა და რატომ გახდა საჭირო სოციალური ფსიქოლოგიის ცალკე

მიმართულებად ჩამოყალიბება. როგორ ეჯაჭვება პიარი სოციალურ ფსიქოლოგიას, რომელიც მის ფუნდამენტს ქმნის და მასზე შენდება უკვე მისი მიმართულებით საზოგადოების, მასების ინფორმირებისა და ქცევის შეცვლის გადაწყვეტილი სტრატეგიით.

**მარკეტინგის საფუძვლები ავტორები ფილიპ კოტლერი და გარი არმსტრონგი** - მარკეტინგის ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოა, რომელიც დეტალურად აღწერს მის განვითარებას დაბადებიდან დღემდე, სირთულეებს და გადალახვის გზებს, აანალიზებს მარკეტინგის როლს სხვადასხვა სფეროსთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომი გახდა ერთგვარი სტიმული, რომ დეტალური ანალიზის პროცესში დამენახა, რამდენად საჭიროა არსებობდეს „უსაფრთხოების მარკეტინგი“, როგორც ტერმინი და შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც ამ პროცესს გაუწევს მონიტორინგს.

**“ბრენდინგი მარტივად” ავტორები ბილ ჩიარავალე და ბარბარა ფინდლი ჩენქი** - წიგნი ბრენდის როლის და მნიშვნელობის შესახებ გვიყვება, დეტალურად აღწერს მიმართულებას, ცნობიერს ხდის მის მნიშვნელობას და გვაწვდის ზღვა ინფორმაციას ბრენდის ფორმირების შესახებ. ნაშრომში აღწერილია პოლიტიკოსი, როგორც ბრენდი და მთავარი აქტორი, მისი ქცევა და მის წინაშე არსებული გამოწვევები, მანიპულაციები და მათთან გამკლავების გზები, კამპანიები რომლებმაც შეცვალეს თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური, თუ ბიზნეს პროცესები. ჩემთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილება შევისწავლო და შევადარო ქართული პოლიტიკური ცხოვრების ყოფას და განვითარების პროცესს.

**სიყვარული, ტყუილი, ემოციები და თვითშეფასება ურთიერთობაში ავტორი ზურა მხეიძე** - წიგნი გვიყვება კომუნიკაციის არსებითი მნიშვნელობის, გზების, სახეების, მასში ემოციების გავლენების და შედეგების შესახებ. გვთავაზობს კონფლიქტის გადაწყვეტის გზებს და გვიზიარებს პირად გამოცდილებას, როგორც ფსიქოლოგი და პოლიტიკური კომუნიკაციების ლექტორი. თემისთვის მნიშვნელოვანია, ნაშრომი, როგორც მანიპულაციების თავის დაზღვევისთვის ერთგვარი გზამკვლევი, ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავად ზურა მხეიძე წლების

მანძილზე ამზადებდა სახელმწიფოს პირველ პირებს და მისი გამოცდილების გაზიარება მეტად სასარგებლოა სამეცნიერო ნაშრომისთვის.

**„მასების ფსიქოლოგია და მეს ანალიზი“** ასევე **„სიამოვნების პრინციპს მიღმა ეგო და იდი“** ავტორი ზიგმუნდ ფროიდი - მეცნიერი აღწერს მასების მართვის ეტაპებს და გზებს, გვიყვება მოვლენებს, აღწერს ლიდერის თვისებებს, მოთხოვნილებას, ეგოსა და იდის ჭიდილს. გვთავაზობს პრობლემების გადაწყვეტის გზებს და პროცესებს გვაცნობს, ისე თითქოს აქ და ახლა მიმდინარეობს. მასების მართვა, რადგან ჭეშმარიტი ლიდერისთვის მთავარი გამოწვევაა, ასეთი ღირებული ნაშრომის შესწავლა აუცილებლად მივიჩნიე. მომეცა საშუალება განსხვავებული ხედვით დავკვირვებოდი, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიებს, საჯარო გამოსვლებს, ხალხმრავალი ღონისძიებების დაგეგმარებას, რაც გარკვეულწილად ნათელს მოჰფენს, თუ რა ტიპის მანიპულაციებს იყენებენ და როგორ შეიძლება დახვეწონ სწორი ქმედებით კამპანიები, შეხვედრები და პოლიტიკური აქტივობები ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა აქტორებმა.

**პიერ ბურდიე წიგნში "ტელევიზიის შესახებ"** მასობრივი კომუნიკაციების არხებს გვაცნობს, მათ საჭიროებას და მნიშვნელობას, გავლენას აზრის ცვლილებაზე, მედიის როლზე და მნიშვნელობაზე. მედიაზე, როგორც მეოთხე ხელისუფლებაზე ნებისმიერ ქვეყანაში. ავტორის მიგნებები მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის, რადგან გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების რისკები მუდმივად არსებობს. განსაკუთრებით ღირებულია დავაკვირდეთ, რა რეგულაციები არსებობს ამ მხრივ მსოფლიოში და რა წინააღმდეგობები ხვდებოდა სხვა ქვეყნებს მედიის დესტრუქციული ქმედების პროცესებში. ნაშრომი ასევე, მნიშვნელოვანია, როგორც დაკვირვებისათვის, ასევე ველის უკეთ შესწავლისათვის.

**ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა**

ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი ღირებული აღმოჩნდება აღნიშნულ თემატიკაზე მომუშავე მეცნიერებისთვის, პრაქტიკოსი ადგილობრივი სპეციალისტებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

ექსპერტებისთვის. ასევე, მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ამავე დროს, ნაშრომი საინტერესო იქნება: სტრატეგიული კომუნიკაციების, პოლიტიკური კონსალტინგის, ეროვნული უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით მომუშავე სახელისუფლო ორგანოებისა და უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებისთვის. (მაგალითად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ა.შ.). სამეცნიერო ნაშრომი იქნება ერთგვარი გზამკვლევი ქართული მასმედიის, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მედია საშუალებებში მოღვაწე ჟურნალისტებისა და ანალიტიკოსებისთვისაც, რომლებიც აშუქებენ პოლიტიკურ თემებს და თავად ქმნიან პიარს, როგორც კერძო სექტორისთვის, ასევე სახელმწიფო უწყებებისა და პერსონებისთვის. კვლევის შედეგად შემუშავდა სპეციალური სახის რეკომენდაციები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებისთვის და გამოიკვეთა პოლიტიკური პიარის და პოლიტიკური ტექნოლოგიების როლი, ადგილი და მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების და საერთაშორისო პოლიტიკაში.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა**

სადოქტორო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

**ნაშრომის პირველი** თავი ეძღვნება პოლიტიკური პიარის და ეროვნული უსაფრთხოების თეორიულ-კონცეპტუალურ საფუძვლების გაცნობას, კერძოდ კი განხილულია: პოლიტიკური პიარის არსი და მისი შემადგენელი კომპონენტები, უსაფრთხოების თეორიული ხედვა და ტიპოლოგია; პოლიტიკური პიარი და მისი გავლენა ქვეყნის უსაფრთხოებაზე. თავში გამოიკვეთა, პოსტსაბჭოთა საქართველოში პოლიტიკური პიარის განვითარება, ეროვნული უსაფრთხოების

საფუძვლები და ამ ორი მეცნიერების თანაკვეთა; განვიხილეთ, პოლიტიკური პიარის ეთიკის საკითხები და მისი ინსტრუმენტების სახეობები საარჩევნო პროცესების დაგეგმარება, გამოწვევები და ლიდერის ფორმირების ასპექტები.

განვიხილეთ საარჩევნო პიარი და მისი მიმართულებები, აგიტაცია და მისი მნიშვნელობა საარჩევნო პროცესების მართვისას, მედია, როგორც პოლიტიკური პიარის ინსტრუმენტი, პოლიტიკური კანდიდატის თავისებურებები, პოლიტიკური გამოსვლის ტექსტის ფორმირება და მესიჯბოქსი.

პიროვნული უსაფრთხოების მნიშვნელობა, ფსიქოლოგიური ომი, როგორც ეროვნული მნიშვნელობის საფრთხე. მოქმედი კანონმდებლობა ინფორმაციის მართვის მიმართულებით და ის რეალური საფრთხეები რომელიც ფსიქოლოგიური ზემოქმედების პროცესში კანონის ჩარჩოებს მიღმა რჩება. მეორე მხრივ, განვიხილეთ არსებული და მოქმედი კანონმდებლობა რომლითაც ხდება ადამიანის და ქვეყნის პიროვნული საფრთხეებისგან დაცვა, ან პრევენცია.

**მეორე თავში** ვისაუბრეთ, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე და პიარზე როგორც საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ფაქტორზე, შევეხეთ თანამედროვე გამოწვევებს და რისკებს, რომელიც აჩქარებული ინფორმაციის გავრცელებით იქმნება, ასევე მძლავრია ტყუილი ინფორმაციის ტირაჟირებით გამოწვეული რისკები, როგორც ელექტორატის ფსიქიკურ დონეზე, ასევე ეროვნულ დონეზე. განვიხილეთ, პიარი, როგორც საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი, პოლიტიკური პროპაგანდა და მისი გავლენა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გამოწვევები ფსიქოლოგიური ომის ფორმატში. მეორე თავის მესამე ქვეთავი დაეთმო ექსპერტების ინტერვიუებს, რომლებმაც ვრცლად განიხილეს პოლიტიკური მანიპულაციების არაეთიკური ქმედების მკვეთრი პრობლემატიკა, პროპაგანდის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, ისაუბრეს ფსიქოლოგიურ ფაქტორსა და საფრთხეებზე. ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩამოვართვით

შემდეგ ექსპერტებს: ზურა მხეიძეს, რამაზ საყვარელიძეს, უჩა ნანუაშვილს, ნიკოლოზ გაგნიძეს და თამარ ჟვანიას. ექსპერტებმა კონკრეტული რეკომენდაციებიც გასცენ და ქართული რეალობისთვის მნიშვნელოვანი დაკვირვება განახორციელეს, როგორც შიდა პროცესების სამართავად, ასევე გარე საფრთხეების აღსაქმელად. განვიხილეთ „ფსიქოლოგიური ოპერაციისა“ და „საინფორმაციო ოპერაციის“ ტიპები. ვრცლად განვიხილეთ პოლ ეკმანის თეორია სიცრუის შესახებ ფეიკ ნიუსთან მიმართებით, მისი ფორმები და გამომწვევი მიზეზები. სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობა და დავასკვენით, რომ სტრატეგიული კომუნიკაცია პირდაპირ კავშირშია ისეთ ფენომენებთან, როგორიცაა პროპაგანდა. ხაზი გაესვა „ჰიბრიდული დემოკრატიის ფენომენს“ რაც პოსტ საბჭოთა საქართველოს ერთგვარი მახასიათებელია. საქართველოს თანამედროვე რეალობაზე დაკვირვებით შევეხეთ ტერმინებს: „საინფორმაციო სამოქალაქო ომი“ - პოლიტიკური ბრძოლის ახალი ფორმა, "სამოქალაქო კიბერ ომი", გავაჩინეთ ახალი ტერმინი: ინფორმაციის პარადოქსული/კონტრასტული გავლენის ეროვნული საფრთხე, რომელიც წარმოადგენს მასების მართვის სიმეტრიულ იარაღს. კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ ექსპერტები პოლიტიკური პიარს აღიქვამენ, პოლიტიკური პროცესისა და საზოგადოებასთან ინტერაქციის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილად, ასევე განიხილავენ როგორც ერთ-ერთ ფაქტორს, რომელსაც აქვს განუზომლად დიდი გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. თუ პიარი არის დისკრეტული და მოკლევადიან ამოცანაზე კონცენტრირებული ეს ნიშნავს, რომ იგი გადასულია პირწმინდად მანიპულაციის ამოცანებზე, ასეთ დროს წარმოიშობა სწორედ ფეიკ ნიუსი. ამ გამოწვევის ფონზე, ცხადი ხდება მასშტაბური გეგმის არ არსებობა. ეს ფაქტორი, კი თავის მხრივ წამოაჩენს ეროვნული უსაფრთხოების გეგმისა და სტრატეგიის სისუსტეს და ამავე დროს იგი ერთდროულად არის ინდიკატორიც და მიზეზიც. ექსპერტები თანხმდებიან, რომ პიარს აქვს გარკვეული ინდიკატორები, როგორიც არის ტყუილის დემონსტრირება იგივე „ფეიკ ნიუსი“ და პროპაგანდა. პიარს ასევე, გადამწყვეტი როლი აქვს, პოლიტიკური ფიგურის პოლიტიკურ ლიდერად ქცევაში. პიარის მიერ დაგეგმილ აქტივობებს, აქვს გავლენა

მთელ საარჩევნო პროცესსა და შედეგებზე. ექსპერტები ინტერვიუებში აფორმირებენ ლიდერის თვისებებსა და საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს, ასევე პიარის როლის ზრდას სამყაროსა და ჩვენს ქვეყანაში წელთა განმავლობაში. ყურადღება გამახვილდა ინფორმაციის მართვის, შენახვისა და დაცვის ფუნქციებზე, ზედამხედველ ორგანოებსა და იურიდიული მართვის კომპონენტებზე. ტყუილი ინფორმაციისგან თავის დაცვის მექანიზმებზე და პრევენციულ ღონისძიებებზე ქვეყნის მასშტაბით. ასევე, გაესვა ხაზი რუსეთის ომის მიმდინარეობის პროცესში ინფორმაციის გავრცელებისა და ბლოკირების ფაქტორებს, ინფორმაციის ბრენდირების ასპექტს, მსხვილი თემების ტყუილი ინფორმაციით გადაფარვის მცდელობებს. ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ წინმსწრები, დაგეგმილი ტაქტიკა უფრო მომგებიანია ვიდრე პოსტ ფაქტუმ რეაგირება მომხდარზე. ხაზი გაესვა სპიკერის როლს და მის მნიშვნელობას, საარჩევნო პროცესზე, რომელიც "სიყვარულზე" "მოწონებასა" და "სიმპათიაზეა" დაფუძნებული და მის საპირწონედ გრძელვადიანი გეგმითა და რაციონალური პროგრამით წარმოდგენილი ახალი საუკუნის კანდიდატის ფორმირებაზე. გამოიკვეთა არჩევნების მაღალი პროცენტული მაჩვენებლებიდან მომდინარე საფრთხეების და სამომავლო რისკების ანალიზის მოთხოვნილება.

ამ ჩამოთვლილ გარემოებათაგან ყველაზე აქტუალურ თემად და პრობლემატიკად გამოიკვეთა უსაფრთხოების მაღალი რისკები პიარის დაგეგმარების პროცესის არასათანადოდ და არამართლზომიერად განხორციელების შემთხვევაში. ასევე, დაგვიანებული პასუხის, ან უკუკავშირის სისტემატური ხასიათის ხარვეზი და მისი გამოსწორების გზებად დაისახა პროცესში ჩართული მოთამაშეების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება და წინმსწრები რეაგირების სტრატეგიის არსებობის აუცილებლობა. ხოლო კომუნიკაციის სტრატეგიაში საჭიროა გაიწეროს გრძელვადიანი გეგმა და არა მოკლევადიანი ანუ მანიპულაციაზე დამყარებული პროგრამა. ფეიკ ნიუსის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიად ავტორიტეტულმა სტრუქტურებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სხვადასხვა წყაროების გადამოწმების პროცესში შეუძლებელია მოხდეს მათი ტირაჟირების აკრძალვა, ამდენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწრაფ რეაგირებას, დაუყოვნებლივ

უკუკავშირს და გრძელვადიან პროფილაქტიკური გეგმის არსებობას. ამ პროცესში, კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკომუნიკაციო ენის დახვეწასა და ფორმირებას, რათა შეფერხდეს ქვეყნისთვის საზიანო მიზანდასახულობის პიარი, რომელიც თავისუფალ რეჟიმში ინფორმაციის ბრენდირებას ამარტივებს. გამოიკვეთა, რომ დახვეწილი საკომუნიკაციო ენა, ხელმისაწვდომობას ზრდის საზოგადოებისთვის და მთავრობისთვის ინფორმაციის სორტირების პროცესს, კომუნიკაციის ტემპის საკითხს და ამავე დროს ოპონენტისთვისაც იქმნება ცივილიზებული ველი უკუკავშირისთვის.

**მესამე თავში** შევეხეთ, პოლიტიკური ტექნოლოგიების გავლენას ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე და დიდი ყურადღება დავუთმეთ ფეიკ ნიუსსა და პროპაგანდას.

გავეცანით „ფეიკ-ნიუსის“ არსს, წარმოვადგინეთ მისი კლასიფიკატორები და მისი კორელაცია ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მაგალითზე. მესამე თავის პირველ ქვეთავში წარმოვადგინეთ სიტუაციური ანალიზი, განვიხილეთ საქართველოში კოვიდ პანდემიის შემთხვევა, მეორე ქვეთავი დაეთმო ულტრათანამედროვე კვლევას, რომელიც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნდამენტური გრანტის ფარგლებში დაფინანსდა. კვლევა ჩატარდა ორ აპარატზე ერთდროულად: ნეიროფიდბექსა და ბიოფიდბექზე. კვლევის ჩანაწერები გაიგზავნა აშშ-ში და ერთეულ ცდისპირზე 24 სლაიდი გამოიგზავნა. პროცესში მიმდინარეობდა ორჯერადი კითხვარის შევსების პროცედურა. ერთი ეხებოდა დემოგრაფიულ საკითხებს და პირველად განწყობას კვლევამდე. ხოლო მეორე ივსებოდა კვლევის შემდეგ და კვლევის ჩატარების ბოლოს ცდისპირის განწყობებს ასახავდა. პირველი ანკეტირების შემდეგ, ტარდებოდა მაღალტექნოლოგიური აპარატებით თავის ტვინისა და პერიფერიის გადაღება, რვა წუთის განმავლობაში, ისე რომ ცდისპირი არ უყურებდა რაიმე სახის მასალას. მესამე ეტაპი იყო ცდისპირთათვის ვიდეოს ჩვენება. ვიდეოს ჩვენების პროცესში, რომელიც რვა წუთი გრძელდებოდა გამოყენებული იყო ევროკავშირში ინტეგრაციის თემატიკა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. ცდისპირებმა ნახეს სულ ცხრა მასალა,

მათგან სამი პროპაგანდული კლიპი, ხოლო ექვსი სიტყვით გამომსვლელი სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურა. სულ კვლევის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 100-მა ცდისპირმა, აქედან 30% იყო ექსპერტი.

წამოგიდგენთ კვლევის **ჰიპოთეზებს: (H1) პოლიტიკური პიარის მანიპულაციებს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ელექტორატზე; (H2) პოლიტიკურ პროპაგანდას საქართველოს აზრის ლიდერებში აქვს დადებითი გავლენა;**

მოწოდებული მასალები დამუშავდა და გამოიკვეთა ოთხი პოტენციური ჯგუფი, რომელთაც პირობითი სახელები დავარქვით:

- მაღალი აღგზნება, მაღალი პოზიტიური ემოცია; - Research
- დაბალი აღგზნება, დაბალი პოზიტიური ემოცია; -Neitral
- მაღალი აღგზნება, დაბალი პოზიტიური ემოცია - High Emo
- დაბალი აღგზნება; მაღალი პოზიტიური ემოცია; - Low Emo

მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა ჯგუფები და კითხვარებს შევადარე ჩანაწერების შედეგები, გამოიკვეთა:

- მონაწილეთა 96%-ზე გავლენა იქონია ვიდეოებმა: მოიმატა, ან დაიკლო პერიფერიული ნერვული სისტემის როგორც აღგზნების, ასევე დადებითი ემოციის დონემ. ამ მონაცემით, შეგვიძლია დავასაბუთოთ პირველი ჰიპოთეზა და თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორც პროპაგანდის, ასევე საჯარო გამოსვლის შემთხვევაში გავლენა ცდისპირებზე 96%-ია, რაც შეგვიძლია მნიშვნელოვან შედეგად მივიჩნიოთ.
- აქვე, უნდა ითქვას, რომ დარჩენილი 4%-ის შემთხვევაშიც გავლენა იყო სხვადასხვა ნაწილში, მაგრამ არა ყველა ცვლადში. სულ 4 ადამიანი იყო ისეთი, რომელთა შემთხვევაშიც აღგზნება არ შეიცვალა და დარჩა იგივე, თუმცა პერიფერიულმა ნერვულმა სისტემამ განიცადა ცვლილება.

- პოლიტიკური პროპაგანდის ვიდეოებზე გამოვლინდა მხოლოდ 2% ნეგატიური განწყობისა, ხოლო პოლიტიკურ გამომსვლელებზე 98% გამოიკვეთა ნეგატიური განწყობა. ამ მოცემულობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პროპაგანდას საქართველოში არ აქვს ნეგატიური გავლენა და პოლიტიკურ პროცესებში უმჯობესია, სწორედ პროპაგანდული ვიდეოებით იმუშაოს პოლიტიკურმა პიარმა. ვიდეოები, რომლებიც ადამიანს ახსენებს პოზიტიურ გამოცდილებას, ახალგაზრდობას, ბავშვობას, ოჯახს, გამარჯვებულ ქვეყანას და გარკვეულ სენტიმენტებს დადებითად აისახება ფსიქიკაზე და ვლინდება, რომ ნეგატიური განწყობა ქვეითდება. მოცემული მიგნება ადასტურებს მეორე ჰიპოთეზას და ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკური პიარის ინსტრუმენტებიდან პროპაგანდა საქართველოს მაგალითზე ნამდვილად საჭირო ინსტრუმენტია.
- კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მასალებიდან ასევე ნათლად გამოჩნდა, რომ ყველა ცდისპირი საშუალოდ 30%-ით იტყუება ანკეტის შევსების მომენტში. პერიფერიული ნერვული სისტემა თუ დადებით ემოციას აჩვენებს, ანკეტაში წერია ნეგატიური შიგთავსი: შიში, შფოთვა, გაღიზიანება, მიუღებლობა, ნეგატიური გავლენა და ა.შ ასეთი სხვაობა ჩვიდმეტიდან მინიმუმ ექვს კითხვაში ვლინდება, რომ განვაზოგადოთ და საერთო პროცენტი დავითვალოთ საშუალოდ ცდისპირთა 30% ტყუის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცდისპირები არ იყვნენ უცხო, გარედან მოსული ადამიანები, იყვნენ კეთილგანწყობილები და დახმარებისთვის ორიენტირებულები, რაც მაფიქრებინებს, რომ ნეიტრალური ჯგუფის შემთხვევაში, სადაც კვლევის ავტორის მიმართ სრულიად ნეიტრალური იქნებოდა განწყობა, შედეგად შესაძლოა კიდევ უფრო მაღალი ტყუილის მაჩვენებელი დამდგარიყო. მოცემულობა, მაფიქრებინებს, რომ ანკეტირებული კვლევები ვერ იქნება რელევანტური, რადგან საშუალოდ ცხრა პროცენტის ნაცვლად, რაც საერთასორისოდ მიღებული სტანდარტია, მათში მინიმუმ 30% ტყუილია, რაც ვერ მოგვცემს რეალურ სურათს და კვლევაც არალერევანტულად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, მაქვს მოსაზრება რომ ონლაინ კვლევა (სოციალური

მედიის კვლევა) იქ სადაც პერსონალური ინფორმაცია არ ფიქსირდება შესაძლებელია უფრო მართებული იყოს საქართველოში. რასაც ვერ ვიტყოდი სატელეფონო კვლევებზე, რადგან მოქალაქეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი სატელეფონო კავშირები არ არის დაცული. ცდისპირთა უმრავლესობა გააღიზიანა ისეთმა დეტალებმა, როგორიცაა ტუჩსაცხის ფერი, სწრაფი კადრი, თვალის ფერი და მიიზიდა ახალგაზრდობასთან დაკავშირებულმა, უნივერსიტეტის, ოჯახის კადრებმა, ნოე ჟორდანიას კადრები კი ცდისპირთა 70%-მა მოიწონა. ევროკავშირის თემას არ შეეხო, არ გამოყო, როგორც საინტერესო მომენტი, არ მიიჩნია მიმზიდველად  არც ერთმა ცდისპირმა, კელი დეგნანის მიმართ, კი 40%-მა ნეგატივი გამოთქვა. პერსონალური ნეგატივის გამოხატვა არ გაუჭირდათ ცდისპირებს, თუმცა თუ იგივე 40% სავარაუდოდ არ ემხრობოდა ნარატივს ევროკავშირთან დაკავშირებით, მან ეს არ გამოხატა პროპაგანდული ვიდეოს მიმართ. ამიტომ, უნდა შეიზღუდოს მწვავე, გლობალურ თემებზე, საჯარო გამოსვლები და საზოგადოებას უნდა ვესაუბროთ მასშტაბში, პირად ემოციასთან თანმხვედრ პროდუქტებით, ისეთი როგორიც არის პროპაგანდა.

ასევე, ჩატარდა ნახევრად ჩაღრმავებული კვლევა შემდეგ ექსპერტებთან: კობა ნარჩემაშვილი, ნუგზარ გრძელიშვილი, ნიკა ჩიტიძე, დავით კუხალაშვილი, ანუკი წიკლაური, თეა პერტაია, მარინე გიგინეიშვილი და ლილე ხმალაძე. გამოვლენილი შედეგების ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ საქართველოს ეროვნულ დონეზე არ გააჩნია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რაც მაღალი ალბათობით ხელისშემშლელი ფაქტორია პოლიტიკურ მანიპულაციებთან საბრძოლველად. კვლევამ გამოკვეთა, რომ პროპაგანდის როლი საქართველოში ერთ-ერთი წამყვანია პიარის მანიპულაციებში და ის მჟღავნდება უმეტესწილად საარჩევნო სუბიექტების დაპირისპირების და საარჩევნო პროცესებისა დროს. პროპაგანდა, როგორც ინსტრუმენტი მუდმივად გამოიყენებოდა საქართველოში როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური და მტრულად განწყობილი ქვეყნების მიერ. ვინაიდან პროპაგანდის შეჩერება, დაბლოკვა და მართვა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ის მუშაობს და მოქმედებს ადამიანთა ფართო მასებზე, აქვს ბრენდი, აქვს

მიზანი, აქვს სამიზნე და ზოგჯერ კონკრეტული დისკრედიტაციის ობიექტი ან ჯგუფი, ან პარტია, ან მთავრობა. შესაბამისად, დგება აუცილებლობა, ქვეყნის დონეზე არსებობდეს კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც პერიოდულად განახლდება და დაგეგმილი მოქმედებისა და რეაგირების საშუალებას მისცემს სახელმწიფოს. მსგავსი სტრატეგიული დოკუმენტები არსებობს თითქმის ყველა ქვეყანაში და მათზე დაყრდნობით ხდება წინმსწრები გეგმის მომზადება. ცხადია, თუ მმართველი გუნდი თავად არ იყენებს არაეთიკური პროპაგანდის იარაღს, ინფორმაციის გავრცელების საკმარისად მაღალი სტანდარტი მკვიდრდება, რომელსაც იცავს როგორც ქვეყანა, ასევე რიგითი მოქალაქე.

ექსპერტებმა პოზიტიური და ნეგატიური პროპაგანდის დიფერენცირება მოახდინეს, ერთი მხრივ საზოგადოებისთვის და ქვეყნის განვითარებისთვის სასარგებლო, ხოლო მეორე მხრივ დამაზიანებელი და დამთრგუნველი. პოზიტიური პროპაგანდის დეფიციტზე საუბრობს და მის საჭიროებას ხედავს ყველა ექსპერტი. ასევე აღსანიშნავია, რომ პოზიტიურ პროპაგანდასაც სჭირდება დაგეგმვა და ვადებში გაწერა. როგორც პიარს ასევე პროპაგანდას არ აქვს მოკლევადიანი დაგეგმარება, რადგან ინფორმაციის მიწოდება მასებისთვის, მისი გამყარება და ჩვევაში გადასვლა მოითხოვს დროს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტებმა არ შეაფასეს ლიდერის გუნდის ფაქტორი, რაც ჩემი წარმოდგენით, ერთ-ერთი წარმმართველი ასპექტია საარჩევნო პროცესში. ასევე, მნიშვნელოვანია, საარჩევნო კამპანიას მოვარგოთ ავტორის შიდალიდერული ფაქტორები, როგორც ყველა ორგანიზაციას, საარჩევნო კამპანიასაც უნდა ჰყავდეს არა მხოლოდ მთავარი ლიდერი, არამედ მეორეხარისხოვანი ლიდერებიც. სასურველია ორგანიზაციაში არსებობდეს პარტნიორობაზე ზედამხედველი ლიდერი, რომელსაც ექნება გარკვეული უფლებამოსილება. ამას გარდა, ექსპერტებმა არ გაამახვილეს ყურადღება ლიდერის ემპათიურობაზე.

პროპაგანდა, როგორც მოვლენა რომლის არსებითი ნაწილი არის ინფორმაციის გავრცელება, დასაბამს იმ დროიდან იღებს, როცა შეიქმნა პირველი სახელმწიფო და კანონი. თავად პროპაგანდა, კი ერთგვარი მანიპულაციაა ფართო მასებზე. როგორც ევერესტ შოსტრომი ამბობს იყო მანიპულატორი, არ არის თანდაყოლილი თვისებაა

და აქტუალიზატორი პირების ინტერესებს კვეთს. მანიპულატორები ხასიათდებიან, სიყალბით, აპათიით, უნდობლობითა და ცინიზმით. აქტუალიზატორები კი: პატიოსნებით, გაცნობიერებულობით, თავისუფლებითა და ნდობით. საუკუნეთა განმავლობაში ტერმინი პროპაგანდა მრავალგზის მოდიფიცირდა. ტერმინის დიქტატორული რეჟიმებთან ასოცირების გამო ნეგატიური კონოტაცია შეიძინა და დავიწროვდა მისი გამოყენების სპექტრი. პიარის ფუძემდებელმა ბერნეისმა მისი შტოები შემოგვთავაზა: საზოგადოებრივი სამუშაო -იგივე პიარი, მრეწველობაში -რეკლამა და საზოგადოებრივი სამუშაო, რელიგიაში -მისიონერობა, პოლიტიკაში - საზოგადოებრივი დიპლომატია, სამხედრო მოქმედებების დროს - ფსიქოლოგიური ომი, სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებში უწოდა საკუთრივ პროპაგანდა და კვლავ ნეგატიური კონტექსტით დარჩა ტერმინი. ამდენად, ყველგან გვხდება პროპაგანდა, არ არსებობს სფერო სადაც ქვეყნისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროცესები მიდის და სადაც არ მონაწილეობს პროპაგანდა, თუნდაც სხვა სახელდებით. ამიტომ, მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ხელისუფლისთვის და უბრალოდ მოქალაქისთვისაც, იცოდეს მასთან მოპყრობის წესი.

- კვლევის ფარგლებში ჩატარებული კონტენტ-ანალიზის და ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩატარების პროცესში გამოიკვეთა, რომ რეალურად საქართველოში არ არსებობს კომუნიკაციის სტრატეგიის ცენტრალიზებული დოკუმენტი, სტრატეგიული  და ოპერატიული დონეებზე და მხოლოდ ლოკალურ, ტაქტიკურ დონეზე არსებობს.
- გარდა იმისა, რომ ის არ იძებნება "საკანონმდებლო მაცნესა" და ოფიციალურ უწყებაში, მთავრობის გვერდზე გამოქვეყნებულ საჯარო დოკუმენტაციაში არც ერთ ექსპერტს პირადად არ წაუკითხავს და არ უნახავს მსგავსი დოკუმენტი. გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა არსებობს მსგავსი დოკუმენტი, მაგრამ არ არის საჯარო, თუმცა ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ ასეთი დოკუმენტის არსებობა და საჯაროობა აუცილებლობას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, ის რომ საქართველოს არ გააჩნია ცენტრალიზებული საკომუნიკაციო სტრატეგია, ხოლო ცალკეული სამინისტროების თუ უწყებების მიმართულებით არსებობს სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც გამოქვეყნებულია ოფიციალურ გვერდებზე და „საკანონმდებლო მაცნეში“. ყველა ინსტიტუტს ძირითადი საკომუნიკაციო გეგმა მსგავსი აქვს თუმცა ისინი განსხვავდებიან საკუთარი სპეციფიკით მათი სტატუსის და საქმიანობის მიხედვით. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტების საკომუნიკაციო სტრატეგიები საჭიროებენ გაუმჯობესებას, განახლებას და დახვეწას. ყველასთვის ცხადია, რომ ქვეყნის უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი საკითხია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელზეც მრავალი საშინაო და საგარეო ფაქტორი ახდენს გავლენას. ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი ინსტიტუტების სწორად და გამართულად ფუნქციონირებაზე, ასეთი შედეგი, კი დიდწილად საკომუნიკაციო სტრატეგიის რელევანტური დოკუმენტის არსებობით მიიღწევა.

## დასკვნა

პოლიტიკური პიარის მნიშვნელობაზე კონცენტრირება და საფრთხეების შესწავლის გზების მოძიება მნიშვნელოვანია. ეგრეთწოდებულ „ფეიკ ნიუსს“, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით აქტიურად ებრძვიან, თუმცა ვერც „ფეისბუკმა“ და ვერც „გუგლმა“ ჯერჯერობით კონკრეტული გეგმა ვერ შეიმუშავა და არ არსებობს საბოლოო სტანდარტი იმის თაობაზე, თუ როგორი გზით უნდა ვებრძოლოთ ყალბ ინფორმაციას, იმისათვის რომ დავადგინოთ ნამდვილი და მცდარი შეტყობინება. თემის ფარგლებში მოკვლეულმა მასალამ მოგვცა მეტ-ნაკლებად სრული სურათი ქვეყანაში მიმდინარე მედია პროცესებზე, მათი გავრცელების და მოქმედების მასშტაბებზე და შედეგებზე. რეპუტაციულ საფრთხეებზე, კიბერ, თუ საინფორმაციო ომებზე, რისი მეშვეობითაც გვექნება ერთგვარი სქემა, თუ როგორ უნდა განვასხვაოთ მცდარი და მართალი ინფორმაცია,

როგორც მოქალაქეებმა და მცდარი და მართალი ინფორმაცია, როგორც ექსპერტებმა უსაფრთხოების სფეროში. რაც შეეხება საკვლევ კითხვებს, მაგალითად რა ტიპის გავლენა აქვს პოლიტიკურ პიარს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე საქართველოში? გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური პიარის გავლენა ეროვნული უსაფრთხოების კონტენტში უმნიშვნელოვანესია, რადგან მას აბარია ინფორმაციის და ლიდერის მართვის არაპირდაპირი ბერკეტი, გეგმავს და აანალიზებს პროცესებს, პასუხისმგებელია ინფორმაციის გავრცელების მასშტაბებსა და თემატიკაზე, გეგმავს ღონისძიებებს და კამპანიებს, მესიჯებს და აუდიტორიას. უშუალო კონტაქტშია ლიდერ, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და გამტარია საშუალო და დაბალი რგოლების პრობლემატიკის დეფინიციის საკითხებში. აკვირდება საზოგადოების განწყობებს, ახორციელებს სხვადასხვა ტიპის კვლევებს და გეგმავს მოკლე და გრძელვადიან საკომუნიკაციო სტრატეგიას.

კითხვაზე თუ რაში მდგომარეობს პოლიტიკური პრ-ის არსი, რა კომპონენტებისაგან შედგება იგი და როგორ არის დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოებასთან? გამოიკვეთა პიარის არსი და მნიშვნელობა, როგორც ტერმინის ასევე მიმართულების, მისი კორელაცია პოლიტიკურ პროცესებთან და მის მიერ არაჯეროვნად შესრულებული, ან მისი დაგეგმარების იგნორირების პირობებში. მიღებული გადაწყვეტილებების მასშტაბური საფრთხე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ასპექტში. ექსპერტების მოსაზრებით, პოლიტიკურ პიარს აქვს 80%-90% პროცენტი გავლენა ქვეყნის უსაფრთხოებაზე.

შემდეგი საკვლევი კითხვა იყო, რა როლი ენიჭება პოლიტიკურ პიარს ლიდერის პოლიტიკის ფორმირებისას? კომპეტენტური ექსპერტების შეხედულებით, პოლიტიკურ პიარს ლიდერის ფორმირების პროცესში უმთავრესი როლი ენიჭება, დაწყებული მისი ფსიქოტიპის შესწავლით, ველის, გარემოს, ამომრჩეველთა, ბრენდინგის, მესიჯბოქსის და სხვა მიმართულებით.

შემდეგ კითხვაზე, თუ რამდენად დამაზიანებელია ფეიკ ნიუსის ფაქტორი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე? ექსპერტების სრული სპექტრი გვიზიარებს განწყობას, რომ დაგვიანებული რეაქცია ნებისმიერ ტყუილ ინფორმაციაზე არის სავალალო ქვეყნისთვის, აზიანებს როგორც ქვეყნის რეპუტაციას, ასევე თავად

წყაროს საიდანაც ვრცელდება ინფორმაცია და საჭიროა მისი არა მხოლოდ დაზვერვის დონეზე კვლევა არამედ ღია წყაროებიდანაც, სადაც უნდა იკითხებოდეს დაფარული კონტექსტი.

რა გავლენა აქვს პროპაგანდას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში? - მოცემულ კითხვაზე ფსიქოლოგიის და პიარის ექსპერტებმა ასევე პოლიტოლოგებმა პროპაგანდის ორი სახე გამოავლინეს, პოზიტიური და ნეგატიური, აღნიშნეს რომ არის დეფიციტი პოზიტიური პროპაგანდის, ასევე სიჭარბე ნეგატიური პროპაგანდული პროდუქტის რაც ვნებს ქვეყნის უსაფრთხოებას და დამაზიანებელ გავლენას ახდენს თავად პროცესებზე.

მე-6 კითხვაზე,- აქვს თუა არა საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების სტრატეგია და რა როლი ენიჭება სტრატეგიას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში? პასუხის გასაცემად კვლევის პროცესში , ცხადი გახდა, რომ არც ერთი ექსპერტი, რომელსაც გავესაუბრე არ იყო ინფორმირებული ეროვნული კომუნიკაციების სტრატეგიასთან დაკავშირებით, აღმოჩნდა რომ ჩვენი ძალებით მოძიებული ინფორმაციით მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს. ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ ასეთი დოკუმენტის არსებობა აუცილებელი და სავალდებულოა ქვეყნისთვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომუნიკაციების სტრატეგიული დოკუმენტები, რომლითაც ისინი ახორციელებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით აქტივობებს, დაგეგმარებას და მოქმედებას.

პიარს აქვს უშუალო და მძლავრი გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ამაზე მეტყველებს ის რომ მას აქვს ინსტრუმენტები და კონკრეტული ინდიკატორები, რომლითაც უშუალოდ არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, როგორც აქტორი, როგორც შემოქმედებითი პროცესების თანაავტორი. პიარი არის სტრუქტურული ერთეული სახელმწიფო უწყებებსა და კერძო სექტორში, რომელიც ქმნის ბრენდის და ლიდერის სახეს, აყალიბებს მდგრად და გრძელვადიან მესიჯებს, მონაწილეობს პოლიტიკური ამინდის შექმნაში. ხშირ შემთხვევაში ქმნის, არის გამტარი და ასევე ხშირ შემთხვევაში აკონსერვებს ინფორმაციას. პიარი აზრების და მეხსიერების ფუნქციას ითავსებს, იმიტომ რომ ის მედიუმია რომელიც

მოცულობით ინფორმაციას ფლობს და ამით ერთგვარ პრევენციულ დაცვას კისრულობს ეროვნული უსაფრთხოების ასპექტში. არსებობს კულტურის და ტრადიციის სფეროში მიმართულებები, რომელიც თავისი თვითმყოფადი არსით არ არის პოლიტიკური, თუმცა ჩვენს გამოცდილებაში, იკითხება ის რომ ნებისმიერი თემა შეიძლება პოლიტიკასთან ასოცირებულად გარდაიქმნეს. გარკვეულწილად დროთა განმავლობაშიც კი „დარდი“ ვერ გამოთავისუფლდეს პოლიტიკური „დამღისგან“. ამიტომ, არ არსებობს ასპექტი, რომელიც უნდა დარჩეს მხედველობის გარეთ, რადგან ყოველ წამს შესაძლოა გარდაიქმნას გლობალურ პოლიტიკურ მოვლენად, როგორიც არის მაგალითად სპორტული ღონისძიება, ან ტაძრის აღდგენითი სამუშაოები, მისაღები გამოცდები, ან სხვა. ზოგიერთი შემთხვევა შეიძლება არ იყოს ტრაგიკულად დრამატული, მაგრამ ზოგი შემთხვევა შეიძლება გარდამტეხიც კი გახდეს და ქვეყნის ინტელექტის დეკადანსზეც კი მიანიშნებდეს.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში პოლიტიკურ პიარს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე და გააჩნია კონკრეტული სახის ინდიკატორები.

გამოიკვეთა კვლევის პროცესში ცამეტი მეცნიერული სიახლე, რომელთაც თანმიმდევრობით წარმოგიდგენთ:

- კვლევამ აჩვენა რომ პოლიტიკურ პიარს აქვს  პირდაპირი კორელაცია ეროვნულ უსაფრთხოებასთან. ამას ადასტურებენ, ექსპერტები და ჩვენს მიერ ჩატარებული სიტუაციური ანალიზი, სადაც ნათლად ჩანს პიარის როლი ინფორმაციის მიღება-გაცემის პროცესში და არასწორად, ან არაეთიკურად მართული პიარ კამპანიის მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში. მაგალითად კოვიდ პანდემიის პროცესში, ლუგარის ლაბორატორიის ან უკრაინის ომის კონტექსტში.
- კვლევის პროცესში გაჩნდა ახალი ტერმინი “უსაფრთხოების მარკეტინგი”, ან/და “ეროვნული უსაფრთხოების მარკეტინგი” რომელიც მოიცავს მარკეტინგულ პროდუქტებზე, რომელიც დამაზიანებელია ქვეყნის

უსაფრთხოებაზე დაკვირვებას და მიდევნებას, აღმოფხვრას ან ინფორმირებას შესაბამისი უწყებების. გთავაზობთ ჩემეულ დეფინიციას ახალ ტერმინზე, რომელსაც ვფიქრობ აქვს არსებობის უფლება: "უსაფრთხოების მარკეტინგი" ეს არის ტერმინი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ უსაფრთხოებაში მარკეტინგული პროდუქტის მნიშვნელობას, მის სახეს, მათზე ზედამხედველობას და მონიტორინგს, ახდენს მის იდენტიფიცირებას და შესწავლას. ერთგვარ კონტროლს, რათა არ მოხდეს ყალბი პროდუქტის გავრცელება, რომელიც სამომავლოდ ქმნის საფრთხეს ეროვნულ დონეზე.

- ეროვნული უსაფრთხოების დონეზე უნდა მოხდეს მცდარი ინფორმაციის განეიტრალებაზე პროფილაქტიკური სტრატეგიის შემუშავება, რაც უდავოდ შესაძლებელს გახდის პიარის შესაძლებლობების გაფართოებას. მკვეთრად გამოიკვეთა რომ მნიშვნელოვანია, პოლიტიკურ მანიპულაციებზე წინმსწრები სამუშაოების ჩატარება, რადგან დაგვიანებული რეაქციები ვნებს პროცესს და წამგებიან პოზიციაში ამყოფებს სახელმწიფოს და სუბიექტს. მით უფრო, რომ პრობლემათა დიდი ნაწილი უკვე რეაქტიულ ფაზაში გვაქვს.
- გამოიკვეთა, რომ პოლიტიკურ პიარს გააჩნია კონკრეტული სახის ინდიკატორები, როგორიცაა პროპაგანდა და „ფეიკ ნიუსი" და მათი ურთიერთკორელაცია და სისტემატიზებული სახე ვნებს პოლიტიკურ პროცესებს, ქმნის დიდ საფრთხეს როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. გამოსავალი კი არის, იმაში რომ მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე იყოს პროცესი და თავად არ იყენებდეს სახელმწიფო უწყება პიარის არაეთიკურ ინსტრუმენტებს ინფორმაციის გადასაფარად, არამედ იყოს ღია და ინდივიდის დონეზე ხდებოდეს საპასუხო რეაქციები არასუბორდინაციულად, რადგან ამ პროცესში დაკარგული დრო საპასუხო რეაქციას მეტწილად აგვიანებს და აფერხებს სრულ პროცესს, ქმნის ეროვნულ რისკებს. მაგრამ ცხადია ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ არსებობდეს

მდგრადი მესიჯბოქსი, რომლის მოდიფიკაციას სხვა და სხვა დონის სპიკერი თავად აფორმირებს.

- გამოიკვეთა „ფეიკ ნიუსის“ არსი მისი კლასიფიკაცია და მისი მიმართება ეროვნულ უსაფრთხოებასთან. ფეიკ ნიუსს აქვს სხვადასხვა სახე და კლასიფიკატორები, რომლებიც მეტწილად მიემართება პოლიტიკურ პროცესებს და აქვს მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მათზე. ტყუილ ინფორმაციას, შეუძლია ჩირქი მოსცხოს, როგორც ლიდერს, ასევე ქვეყანას და გამოიწვიოს ეროვნულ დონეზე აზრის ფიქსაცია.
- გამოვკვეთეთ ლიდერის როლი, სახეები, ტიპები და მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების პროცესში. ექსპერტებმა დეტალურად აღწერეს ლიდერის თვისებები და მახასიათებლები, შეიქმნა იდეალური ლიდერის მოდელი.
- გამოიკვეთა, რომ ჩვენს ქვეყანას ამ ეტაპზე არ გააჩნია საინფორმაციო - ფსიქოლოგიური კომუნიკაციის სტრატეგია და ასევე ვიმსჯელეთ მის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.
- სტრატეგიული დონე - ამ დონეზე ხორციელდება ეროვნულ და უშუალოდ სახელმწიფოებრივ  დონეებზე მიღებული სტრატეგიის დანერგვა და იმპლემენტაცია და მას გააჩნია გეოპოლიტიკური მნიშვნელობა;
- ოპერატიული დონე - ამ ეტაპზე ხორციელდება უშუალოდ სამთავრობო დონეზე შემუშავებული ღონისძიებების მექანიზმების და გეგმების წარმოჩენა ასეთ საფრთხეებთან გამკლავებისთვის და მათი შედეგების აღმოფხვრისთვის;
- ტაქტიკური დონე - აღნიშნული დონე მოიცავს გარკვეული სახის უფრო დაბალი ბიუროკრატიული (სამინისტროების, დეპარტამენტის დონე) და საზოგადოებრივი აქტორების ფორმატში მიღებული დოკუმენტები და შემუშავებული საპროგრამო მიდგომები.
- გამოვიყენეთ ულტრათანამედროვე აპარატი ბიოფიდბექი და ნეიროფიდბექი აზრის ლიდერების კვლევისთვის, რათა შეიქმნას

განწყობების დაკვირვების გზით პოლიტიკური პროდუქტებზე დაკვირვების მეთოდოლოგია, რათა წინმსწრებად განისაზღვროს მათი მნიშვნელობა და საფრთხე. შესაძლებლად მივიჩნევთ, რომ მსგავსი აპარატული კვლევა, გამოიყენოს სახელმწიფო მმართველობამ, როგორც მესიჯის, სლოგანის, ფერის და მარკეტინგული პროდუქტების კვლევისას, ასევე დამაზიანებელი პროდუქტების კვლევის ასპექტში. რადგან კვლევა ნაკლებად შეიცავს მიკერძოებულ ხედვებს, ცდისპირი არის თავისუფალი წნეხისგან, იმყოფება მასალის პირისპირ და გამოთქვამს მოსაზრებას ღიად. მსგავსი მაღალკვალიფიციური კვლევები ეროვნული უსაფრთხოების ასპექტში შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც ანალიზი რომელიც პრევენციული ღონისძიებისთვის მოგვამზადებს.

- აქცენტი უნდა გაკეთდეს პროპაგანდულ პროდუქტზე, რადგან კვლევის ფარგლებში მხოლოდ 2%ნეგატივი აჩვენა.
- წერილობით ანკეტირებაში საერთო რაოდენობის 30% სიცრუეს წარმოადგენს. ამდენად ეჭვქვეშ დგება სოციოლოგიური კვლევების ვალიდურობის საკითხი.
- აქვე გთავაზობთ ტერმინს: ფსიქიკური ეკოლოგიის ეროვნული საფრთხე - საფრთხე რომელიც მოქმედებს ინდივიდზეც და ჯგუფზეც, არის ასიმეტრიული საფრთხეების რიგში და ფსიქოსომატურ დონეზე ძლიერ, ბიოლოგიურ იარაღს წარმოადგენს, მით უფრო ისეთ პატარა ერებში როგორიც საქართველოა.
- ინფორმაციის პარადოქსული/კონტრასტული გავლენის ეროვნული საფრთხე, რომელიც წარმოადგენს მასების მართვის სიმეტრიულ იარაღს და ამის თვალსაჩინო მაგალითია 2008 წლის გამარჯვების კონცერტი, ეკლესიის, ტრადიციების და ღირებულებების დემონსტრაციული პარადოქსული, კონტრასტული გავლენა.
- მედია უსაფრთხოება/ანდა კომუნიკაციის უსაფრთხოება - გავრცელებული ინფორმაციის ტემპი და დაფარვის შეუქცევადი საფრთხე შესაძლოა გახდეს

ისეთი მასშტაბის საფრთხე, რომლის მართვაც პრევენციის გარეშე წარმოადგენს ეროვნული დონის საფრთხეს.

ასევე აღსანიშნავია, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმები, კულტურული ფასეულობების დაცვის სტრატეგია და სხვა შემუშავებული სქემების გვერდით, უნდა არსებობდეს ისტორიული ფაქტების დამახინჯების, ქვეყნის დროშის, რუკის, ისტორიოგრაფიული, არქეოლოგიური და რა თქმა უნდა პირადი ინფორმაციების ეროვნული უსაფრთხოების დონეზე შესწავლის და დაცვის მექანიზმი. უნდა დადგინდეს კომუნიკაციის საერთო სტანდარტი სახელმწიფოს მხრიდან, აქტიური პროპაგანდის მეშვეობით სიძულვილის ენის წინააღმდეგ, უცხოენოვანი ტერმინებისა და კალკის წინააღმდეგ, რათა დაიწმინდოს და არ წახალისდეს ამგვარი კომუნიკაციის ფორმა. ყველა ეს მიდგომა, შეზღუდავს აგრესიის მოზღვავებას ველში, რომლიდანაც ჩვენგან დამოუკიდებლად ვიღებთ ზღვა ნეგატივს. რადგან აგრესიული მოქალაქის მზაობა წახალისებული იყოს აგრესიული ქმედებისკენ გაცილებით უფრო დიდია ვიდრე მშვიდისა და გაწონასწორებულის, რაც საერთო ჯამში ეროვნული უსაფრთხოების დონეზე განიხილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე დაგროვილი ნეგატიური გამოცილება თავის თავში გულისხმობს დაკვირვებისთვის აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც სწორი სახელმწიფო პროპაგანდის და ეთიკური პიარის ხელში იქნება გამოყენებული სრულყოფილი, სიცოცხლისუნარიანი და მოქმედი სტრატეგიის შემუშავებისთვის, რადგან უნდა გავითვალისწინოთ რომ კომუნიკაციის ეროვნული სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელიც ყოველდღიურობაში უნდა აღსრულდეს და დაიხვეწოს.

## ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში, დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოკვიუმი N1 - პოლიტიკური პიარის და ეროვნული უსაფრთხოების თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლები
2. კოლოკვიუმი N2 - ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემო და პიარი როგორც საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ფაქტორი: ახალი გამოწვევები და რისკები
3. კოლოკვიუმი N3 - პოლიტიკური ტექნოლოგიების გავლენა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე (ფეიკ ნიუსი და პროპაგანდა)

**თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს**

**და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)**

1. არჩევნების პოლიტიკური მარკეტინგი

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

**გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:**

1. კოტრიკაძე მ., ჟურნალი "პოლიტოლოგოსი", "პოლიტიკური პიარი, საარჩევნო პროცესიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი", N5, თბილისი, 2022.
2. Kotrikadze M., article "First Ultramodern, Neuromarketing Research on Lying and Propaganda to Study Brain Impulses with Neurofeedback and Biofeedback Devices"Vol. 2 No. 6 (2023): INTERNATIONAL JOURNAL OF INCLUSIVE AND SUSTAINABLE EDUCATION [22.10.12], [L.S 08.20.2023]
3. Kotrikadze M., article "The Candidate as a "Political Goods" and the Electorate as a "Potential Client": The Role of Public Relation on Political Campaign"Indonesian Journal of Cultural and Community Development,[22.11.2022]

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. კოტრიკაძე მ., „ფსიქოლოგიური ომის თანამედროვე გამოწვევები, პირველი ულტრათანამედროვე კვლევა ტყუილსა და პროპაგანდაზე თავის ტვინის იმპულსების შესასწავლად ნეიროფიდბექის აპარატით."17th Internatonaln Silk Road Conference, IBSU Uublications,Tb., თბილისი, 2023

2. Maisaia V., Kotrikadze M., Maisaia G., "COVID-19 Threat Geopolitics and Prerequisite for Information Warfare" Lugar Laboratory Case, Poland, 2022

**Caucasus International University**

*Copyright of the manuscript*

**Magda Kotrikadze**

**Political PR and national security challenges**

**(on the example of post-Soviet Georgia)**

of Political Science Ph.D

Presented to obtain an academic degree

**Autoabstract**

Tbilisi, 0141, Georgia

**2023**

## Annotation

The doctoral thesis examines the impact of political PR (public relations) on national security, the role of propaganda and fake news on political processes at all levels, and the threats posed by the globalization of communication in the context of security in general.

Political public relations is especially important in the twenty-first century, and it is also associated with powerful asymmetric threats. Accordingly, It is critical to have adequate documentation and a broad plan in place to address the challenges and avoid global and local threats caused by miscommunication.

These two hypotheses were confirmed in the doctoral thesis, and it clearly showed that political PR has a significant impact on national security in Georgia and has specific indicators. Furthermore, high-tech research confirmed the second

hypothesis that, on the Georgian political spectrum, particularly during election processes, political PR should be heavily used in propaganda. A comparison of the hand-filled questionnaires of the interviewed subjects and the four variables of the brain and periphery revealed that all subjects lie 30% of the time (on average, 6 questions out of 17 questions about the parameters provided by the brain for arousal and positive emotion are incorrect). We can assume that manually filled surveys are invalid because, according to international standards, an average error of more than 5-9% is considered invalid, and it is revealed here that even an internationally recognized survey contains an average of 30% false answers.

The first chapter of the thesis was devoted to familiarizing readers with the theoretical-conceptual basis of political public relations and national security, as well as the fundamental paths in which these two social sciences overlap. In the second chapter, we explored the country's national security environment and public relations as a component of informational-psychological warfare: new challenges and risks. Political public relations as a key component of informational-psychological warfare, political propaganda and its influence on national security decision-making, and challenges to the national security environment in the form of psychological warfare The third chapter was devoted to the impact of political technologies on the country's national security. We focused on and discussed fake news and the role of propaganda in political processes, as well as their global threats and risks in the context of security. Within the situational analysis, which reflects Georgian reality, we examined the types of manipulations and their correlation with national security. A separate chapter is devoted to propaganda as a global dilemma of political manipulation and security. This chapter also presents an in-depth interview with PR and security experts who have been actively involved in the political process for many years and have been victims of manipulation in numerous cases. The last sub-

chapter was devoted to the study of the needs and necessity of a national strategy of public relations. It was discovered that there is no centralized main document that would shed light on the country's approach to battling political manipulation and would assist in managing it correctly in the informational-psychological war. The interviews reported here demonstrate that not a single expert who participated in the study process is familiar with such a paper. All six research questions were addressed within the context of the topic: What impact does political public relations have on Georgia's national security? What is the essence of political public relations, what are its components, and how is it related to national security? What role does political public relations play in molding a leader's policy? How dangerous is fake news to the country's national security? What role does propaganda play in the decision-making process? Is there a national communication strategy in Georgia, and what is its function in ensuring the country's security?

The topic is fundamental and relevant to the findings of cutting-edge research funded by the Caucasus International University under the framework of the fundamental research grant. Ultramodern scientific research was conducted using two NASA-designed devices simultaneously. For the first time in the world, a survey of opinion leaders was conducted simultaneously on neurofeedback and biofeedback devices to observe PR manipulations, the results of which I believe will be very useful, especially for all people interested in politics and PR, as well as political actors themselves or future politicians. Given that the findings provided us with previously unpublished data on the impact of lying in the context of election research, its scope and dangers, as well as the role of propaganda in the context of Georgian potential voters, I believe that the device's use will be important in the field of national security.

I hope that the devices provided in Georgia will be actively used in the impact research processes in the area of instrumental studies in the near future. In

addition, neurofeedback and biofeedback can be used to improve mental resilience and stability in military, critical units, civil servants, politicians, and leaders.

Furthermore, this type of high-tech research can be used to successfully create and form the text of a message, slogan, or political appeal. The research includes thirteen scientific breakthroughs, including four new terms: "Security Marketing," "Psychological Ecology National Threat," "Information Paradoxical and/or Contrastive National Threat," and "Media Security and/or Communication Security."